ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

# ახალგაზრდა ივერიელი

შაბათი,
14 აპრილი,
1990 წ.
№ 41 (11527)

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ МОЛОДЕЖНАЯ ГАЗЕТА «АХАЛГАЗРДА ИВЕРИЕЛИ»

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ ქრისტიანული სამყარო დღესასწაულობს ბრწყინვალე აღდგომას

## იესო ქრისტესი



## „განკაცდა და ჯვარს ეცვა ჩვენთვის“

მე-2 გვ.



## ჯვრის მონასტერი იერუსალიმში

მალხაზ დათიკაშვილის ფოტო.
საქინფორმის სპეცკორესპონდენტი.

## „გარანტია არ არსებობს“

ჩვენ უნდა მივიღოთ კანონი ალტერნატიული სამსახურის შესახებ

მე-6 გვ.

## „ეროვნული მოძრაობის ფოტომატიანე“

ახალი ფოტო-გამოფენა, რომლის ინიციატორია ფოტოპუბლიცისტი თამაზ ბიბილური





მე-3 გვ.

ინფორმაცია მთავრობის სასახლიდან

## გორშიც აღიმართება დავით აღმაშენებლის ძეგლი

**საქართველოს** სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო ქალაქ გორისა და გორის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების წინადადება და ნება დართო, რომ ქალაქ გორში მოსახლეობის სურვილის შესაბამისად, დაიდგას დავით აღმაშენებლის ძეგლი.

ძეგლი აიგება ქალაქისა და რაიონის საწარმოთა, დაწესებულებათა და მოსახლეობის შენაწირი სახსრებით.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს მხატვართა კავშირს დაევალა განიხილონ და დაამტკიცონ ძეგლის პროექტი არსებული წესის შესაბამისად და უზრუნველყონ შესრულების მაღალი მხატვრული დონე.

სსრ კავშირის ბინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გორის განყოფილებაში ხსნის სპეციალურ ანგარიშს დავით აღმაშენებლის ძეგლის ასაგებად შემოწირული სახსრებისათვის.

საქინფორმი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# განკაცება და ჯვარს ეცვა ჩვენთვის

„მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი. შემოქმედი ცათა და ქვეყანასა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა; და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი, ღვთისაგან ჭეშმარიტისა შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა. რომელი ჩვენთვის, კაცთათვის, და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, განკაცნა და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატის-ზე და ივნო და დაეფლა, და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა და კვალად მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ. და სულიწმიდა, უფალი და ცხოველმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისათანა და ძისათანა თაყვანისიცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ. ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია, აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებლად ცოდვათა, მოველი აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა.

ამინ!"

„მრწამს ერთი ღმერთი, სამგვამოვნებით ცნობილი, მამასა ვიტყვი და ძესა, და სულსა წმიდასა, პირებით განყოფილად თვისთვისად, ხოლო განუყოფლად არსებითა, რამე თუ სამებაი ესე ერთი არს არსებითა და ბუნებითა, ხოლო პირებითა თვითეულად სახელიდების: მამა, ძე და სულიწმიდა. მამა უშობელი და დაუსაბამოი, რამე თუ არავინ არს უმთავრეს მისადა იგი არს ჭეშმარიტად ღმერთი დაუსაბამოი, რამე თუ არავინ არს დასაბამ მისა, არამედ მხოლოდ თვით არს დასაბამ ყოველთა. მრწამს ჭეშმარიტად, ვითარმედ მამა არს მიზეზი ძისა და სულისა წმიდისა, რამეთუ ძისა მშობელი არს და სულისა წმიდისა გამომავლინებელი, არცი განიყოფის არსებითა და არცა შეერთების გუამებითა, არამედ მხოლოდ პირებითა განყოფილ არიან ესრეთ: რამეთუ მამაი შობს ძესა და გამოავლინებს სულსა წმიდასა, ხოლო ძე იშვების მხოლოდ მამისაგან და სულიწმიდა გამოვალს მხოლოდ მამისაგან. რამეთუ ამათსა ერთმთავრობასა აღვიარებ და მიზეზად ვიცნობ მამას ძისა და სულისა წმიდისად, ძესა ვიტყვი პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილად და ყოველთაგან მოუკლებლად, არა დაბადებულად, ნუ იყოფინ, ვითარცა არიან სხვანი დაბადებულნი. არიანოსთა მწვალებელთა მწვალელებთა წვალებისამებრ და თქმულთა მათთა, არამედ მე ესრეთ ვიტყვი, ვითარმედ არს ძე დაუსაბამოისგან მამისა, რათა არა ითქუას ორთავე დასაბამობაი. ეგრეთვე სულისა წმიდისასა, რამეთუ ამათ ორთავე აქუს მამისაგან არსებაი ხოლო ძე შობილ არს და სულიწმიდა გამომავალ, ვითარცა ზემო გვითქუამს რამეთუ მამა არა განიყოფვის ძისაგან და არცა ძე სულისა წმიდისაგან, არცა სულიწმიდა მამისა და ძისაგან; ვითარცა სრული არს მამაი ძისა და სულისა წმიდისა თანა, ეგრეთვე სული არს სული წმიდაი მამისა და ძისა თანა, შეერთებული შეერთებითა არსებისაითა და განყოფილი განყოფითა გუამებისაითა აღვიარებ სიტყუასა ღმრთისასა, რომელი არსებითა მამისა თანა პირველსაუკუნეთა მოუკლებლად მარადის მყოფ არს და გარდამოხდა ბუნებისა ჩუენისა შემოსად და დამდაბლდა, ვითარცა კაცი, და ხორცნი შეისხნა უბიწოისა და მარადის ქალწულისა სისხლთაგან, რათა ყოველსა სოფელსა მოწყალებითა თვისითა ცხოვრებაი მოანიჭოს; და იქმნა საღმრთოისა და კაცებისა ბუნებათა შეერთებითა ერთ, ვინაითგან სიტყუაი იგი გარდამოხდა საშოსა ქალწულისასა, არცა ღმრთეებაი მოაკლდა ხორცშესხმასა ქრისტესსა და არცა განხორციელებაი მისი მოაკლდა ღმრთეებისაგან, არამედ იქმნა ორთავე შეერთებაი ერთ. ამისთვის განვეშორები წვალებასა ნესტორისსა, არცა ვიტყვი უსულოდ და უგონებოდ, ვითარცა იტყოდა აპოლინარი, რამეთუ იგი იტყოდა კმა არსო მის შორის მხოლოდ ღმრთეებაი უსულოდ და უგუნებოდ. ხოლო მე ესრეთ აღვიარებ ღმრთად სრულად. რომელიცა განხორციელდა სიტყუაი ღმრთისაი და მიიღო ხორცი სულიერი, და სული გონიერი და სიტყვიერი, რამეთუ ღმრთეებისა და კაცებისა და კაცებისა ბუნებისა ყოველივე მას შინა დამკვიდრებულ არს. რამეთუ არა მოკლებულ არს ღმრთეებაი კაცებისა თანა შეერთებითა და არცა კაცებაი ღმრთეებისა თანა, რამეთუ ერთსა გუამსა შინა ორი ბუნებაი იხილვების: ღმრთეებისაი და კაცებისაი. ესრეთ მრწამს და ესრეთ აღვიარებ იესო ქრისტეს განხორციელებასა და ვიტყვი, ვითარმედ ქრისტემან ივნო ხორცითა და არა ღმრთეებითა; რამეთუ ქრისტესა კაცებრივისა ბუნებისა საქმე ყოველივე აქუნდა, თვინიერ ცოდვისა: მოეშშია, მოეწყურა, დაშურა, სცრემლოდა და მსგავსნი ამისნი; არა იძულებით ვისგანმე ჰყოფდა ამას, არამედ ნებსით მოიმშია, ნებსით მოიწყურა, ნებსით დაშურა და ნებსით მოკუდა, რამეთუ ნებსით იქნება სიკუდილი ხორცითა კაცებრივითა, არამედ ღმრთეებაი ეგო უვნებელად. მას რაჲ ენება სიკუდილი, არამედ ჩუენთვის დაითმინა სიკუდილი, რათა ჩუენ გამოგვიხსნას უძლებისა მისგან სიკუდილისა და თვისითა სისხლითა მიმგუარნეს ჩვენ მამასა თვისსა. კაცებრივითა ხორცითა ინება სიკუდილი და მოკუდა, ხოლო ღმრთეებისა ძალი შთახდა ჯოჯოხეთად, რათა მას შინა დასჯილნი სულნი გამოიხსნნეს; და შემდგომ აღდგომისა დღესა ორმეოცსა ქვეყანასა ზედა იქცეოდა მოციქულთა თანა, ამისა შემდგომად ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით მამისა ხოლო მარჯვენესა ვიტყვი მამისასა არა ადგილსა რასმე: მარჯუენე ღმრთისაი არს დაუსაბამობაი და პირველსაუკუნეთა დიდებულებაი, რომელი აქუს ძესა ღმრთისასა მამისა თანა პირველ განკაცებისა, და შემდგომად განკაცებისაცა იგივე აქუნდა, და თაყუანის იცემების წმიდათა ხორცითა თვისითა ღმრთეების თანა შეერთებული და პატივით თაყუანის ცემული ხოლო მეოთხე პირი არა ითქმის წმიდისა სამებისაი, ნუ იყოფინ, რამეთუ სამებაი იგი სამებადვე ჰგიეს, ხოლო შეერთებასა ვიტყვი მხოლოდ შობილისა ძისასა, რამეთუ შეერთებითა ღმრთეებისაითა კაცებრივისა ბუნებისა შეერთებაი განუშორებლად ჰგიეს ღმრთეების თანა უკუნისამდე. შემდგომად ამისა მოვალს განსაჯად ცხოველთა და მკუდართა, მართალთა და ცოდვილთა; ხოლო მართალთა მისცემს მოღუაწებისა თვისისა სასყიდელსა ზეცისა სასუფეველსა, რომელნიც კეთილითა მოღუაწებითა აღესრულენ; ხოლო ცოდვილთა საუკუნესა სატანჯველსა და ცეცხლსა გეენიისასა მოუკლებელსა, რომლისაგან განგუაშორეს ჩვენ ღმერთმან და ღირსმყვნეს ჩუენ რომელი აღგვითქვა მოცემად სასუფეველი ქრისტე იესოის მიერ უფლისა ჩუენისა.

ამინ".

„სიმბოლო სარწმუნოებისა".

# უფლება უპირობოა თუ განხორციელება?

დეკარტეს უთქვამს: როგორ შეგიძლია ენდო იმას, ვინაც ერთხელ მოგატყუა... ქართველები კი განვაგრძობთ მინდობას, ალბათ ჩვენი ასეთი ხასიათის გამო...

ცენტრი დიდია, ჩვენ — პატარები, მაგრამ პატარებს ყოველთვის გააჩნიათ რაღაც ისეთი, რამაც შეუძლია თავდაყირა დააყენოს დიდების ნებისმიერი გამოგონება... საკავშირო უზენაესი საბჭოს სესიაზე კი უკვე მიღებულია ისეთი კანონები, რომლებიც წლობით გადასწევენ უკან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას...

მე პირადად ვწერ, მაგრამ არ მჯერა, რომ ჩვენ სსრკ უმაღლეს ორგანოში რაიმეს შეცვლა შეგვიძლია, მაგრამ ამასწინანდელმა კონფერენციამ, რომელზეც ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური ოპოზიციური ორგანიზაციები და საქართველოს ინტელიგენცია შეახვედრა, კიდევ ერთხელ გამიჩინა იმედი...

ამჯერად საუბარი იყო კანონპროექტზე, რომელსაც საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის მექანიზმს უწოდებენ.

ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა თქვა ამ კონფერენციაზე, იქნებ ბედნიერებიც ვართო არაიურისტები სესიაზე მიღებული კანონპროექტების აბსურდულობას ბოლომდე რომ ვერ ვწვდებითო... იქნებ, ერთიორად უბედურები ვართ, რადგან ილუზიებიდან გამოსვლა არანაკლებ კოშმარულია მერე და მერე?!

ბატონმა თენგიზ ბუაჩიძემ სამართლიანად უწოდა ამ კანონპროექტს სსრკ-დან ვერგამოსვლის მექანიზმი...

ერთადერთი განსახილველი საკითხი ამ კონფერენციაზე იყო ის, თუ როგორი კანონი უნდა დავუპირისპიროთ, რათა ეს კანონპროექტი საქართველოში არ განხორციელდეს:

**თენგიზ ლილუაშვილი** — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი: ჩვენი მოთხოვნა საშინაო თუ საერთაშორისო სამართლის ნორმებით არის სამართლიანი მოთხოვნა, ხოლო ამ მოთხოვნისათვის მხარის დაჭერა ზნეობრივი მოვალეობაა...

რა შეიძლება ამას დავუპირისპიროთ? საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლში, რომელიც ზუსტად გამოხატავს საკავშირო კონსტიტუციის დებულების შინაარსს, აღნიშნულია, რომ საქართველო ინარჩუნებს ფედერაციიდან გასვლის უფლებას. თუ მიღებული იქნა ისეთი კანონი, რომელიც აუქმებს ამ უფლებას, ან ზღუდავს მას, საქართველო ავტომატურად იქნება გასული...

აგრეთვე: საქართველოს კონსტიტუციაში ახალი რედაქციით 77-ე მუხლში წერია, რომ თუ საკავშირო საკანონმდებლო ნორმატული აქტი არ გამოხატავს და არ შეესაბამება ქართველი ხალხის ინტერესებს, უნდა აღიძრას საკითხი ამ კანონის მიმღები ორგანოს წინაშე, რომ შეცვალოს იგი ან გააუქმოს... წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კანონი საქართველოს ტერიტორიაზე არ იმოქმედებს...

**ჯონი ხეცურიანი:** ჩემი აზრით, კანონპროექტი ძირშივე მცდარია და ჩვენმა საკავშირო დეპუტატებმა განხილვაში მონაწილეობა არ უნდა მიიღონ. პროტესტი უნდა განაცხადონ. ერთა თვითგამორკვევის უფლება უთუო, უპირობო უფლებაა. ეს არის მოკავშირე რესპუბლიკების აბსოლუტური უფლება, არც საწყის და არც ბოლო სტადიაში არავის დაეკითხონ მის დამტკიცებას...

**ზურაბ კიკნაძე,** პროფესორი: თავისუფლება საკუთარი თვითნებობის ფანატიზმისა და ყოველგვარი დაზღვეულობის, ფატალიზმის დაძლევაა. ასეთი თავისუფლება ჭეშმარიტების პირმშო და არა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ჯერ შინაგანად უნდა განთავისუფლდეს ადამიანი და მერე მოითხოვოს პოლიტიკური თავისუფლება, რომელიც ჭეშმარიტი თავისუფლების მხოლოდ სუროგატია და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს უმაღლესი მიზანი.

ვინც ყოველ სიტყვას ამთავრებს „ჩვენთან არს ღმერთი", ხოლო უმაღლეს მიზნად წარმავალს დასახავს, ვინც საშუალებას საღვთო მიზნად დაისახავს, ღმერთი მას არ შეეწევა. ჩვენი ეროვნული მოძრაობა განსაკუთრებული უნდა იყოს, რაკი ყველას უწერია პროგრამაში ქრისტიანული სახელმწიფო, თუ ეს გვსურს, მთელი შეგნებით უნდა გავიაზროთ, რას ნიშნავს ქრისტიანული ქვეყანა. ეს უფრო განუზომლად მეტია, ვიდრე დამოუკიდებელი ქვეყანა. ქრისტიანები ოკუპირებულ ქვეყანაშიც შეგვიძლია ვიყოთ. თუ ამ ტანკების გარემოცვაში ვერ ვიქნებით ქრისტიანები, ვერც ქრისტიანულ ქვეყანას დავამყარებთ... როგორც ვიფიქრებთ და მოვიქცევით დღეს, ისეთი იქნება ხვალინდელი ქვეყანა. დამოუკიდებლობა მხოლოდ საშუალებაა რათა სულიერმა თავისუფლებამ, ზნეობრიობამ და ჭეშმარიტებამ პოვოს თავისი განსხეულება...

●

პოლ ვალერის აქვს სიცოცხლის პოლიტიკა: სინამდვილე ყოველთვის ოპოზიციაში დგას... ერი კი, ერი — ზეპიროვნული არსებაა... ერის თვითგამორკვევის უფლება არის ერის უფლება იყოს ერი, იყოს პიროვნება და არა ნივთების, თუნდაც განძეულობის რაიმე გროვა...

კიდევ ერთი რეზოლუცია, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს თითქმის ყველა ოპოზიციური ორგანიზაციები — მათი მოთხოვნებია:

1. სასწრაფოდ იქნას მოწვეული საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საგანგებო (რიგგარეშე) სესია, რომელიც დაუყოვნებლივ გადადგამს პრაქტიკულ ნაბიჯებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის;

2. საქართველოდან წარგზავნილმა სახალხო დეპუტატებმა დაუყოვნებლივ მოიხსნან თავიანთი უფლება-მოსილებანი და არ მიიღონ მონაწილეობა საკავშირო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში;

3. საქართველოს უზენაესი საბჭოს ამავე სესიამ ცნოს ლიტვის რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და განაცხადოს, რომ მის მიმართ არავითარი პოლიტიკური, ტერიტორიალური და ეკონომიკური პრეტენზიები არ გააჩნია.

კონფერენციამ მიიჩნია, რომ სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ „სსრკ-დან გასვლის მექანიზმის შესახებ" კანონპროექტის შემუშავებისა და განხილვის ფაქტი თავისთავად უკანონო აქტია, ვინაიდან მოკავშირე რესპუბლიკის კავშირიდან გასვლის უფლება არის უპირობო უფლება, რომლის განხორციელების წესის დადგენა მხოლოდამხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკის პრეროგატივაა.

**მაია ჭალაგანიძე**

# ვფიქრობ, დაინტერესდებით

პატივცემულო რედაქცია!

ვფიქრობ, ამ წერილში დასმული საკითხით დაინტერესდებით.

საქმე ეხება საქართველოში არსებულ მეცნიერების ერთ-ერთ უნიკალურ ექსპერიმენტულ კერას — საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში მყოფ სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, სადაც 1927 წლიდან მიმდინარეობს მაიმუნის მეცნიერული კვლევა. ალბათ, არ დამჭირდება იმის მტკიცება, თუ რაოდენ ფასეულია ასეთი გამოკვლევების შედეგები დღევანდელი მსოფლიო სამედიცინო მეცნიერებისათვის. გამონაკლისს ამ მხრივ არც ჩვენი ინსტიტუტის გამოკვლევები წარმოადგენს. ამიტომაცაა, მათ შედეგებს და, საერთოდ, ინსტიტუტის სამეცნიერო შესაძლებლობებს ესოდენ ფართოდ რომ იყენებენ რუსეთიდან ჩამოსული მეცნიერები, სამხედრო დაწესებულებები, საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრები...

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ საქართველოს და ქართულ მეცნიერებას რაღაო? — იკითხავთ ალბათ. რა და — არაფერი! თუმცა როგორ არა, ჩვენს წილ მოდის ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალური, მეცნიერული და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი მნიშვნელოვანი პრინციპის უხეში დარღვევით უმოწყალოდ ექსპლუატირებული ტერიტორია, დაბინძურებული გარემო, სხვადასხვა ეპიდემიური დაავადებების საშიშროება... ამას დაუმატეთ ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრის, აკადემიკოს ბორის ლაპინისა და მის გარშემო შემოკრებილი ინსტიტუტის მუშაკთა ელიტის (ისინი საკუთარ თავს «Русскоязычная негрузинская часть коллектива». უწოდებენ) მეცადინეობით შექმნილი აუტანელი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, რომელშიც გვიხდება მუშაობა ინსტიტუტის თანამშრომელთა ნაწილს (ძირითადად ქართველებს) და ალბათ, გარკვეული წარმოდგენა შეგექმნებათ ინსტიტუტში დღეს გამეფებულ სიტუაციაზე.

მაგრამ, მე მაინც სხვა, ბევრად დიდმა გასაჭირმა ამაღებინა კალამი ხელში — ნახევარი წლის წინათ ჩვენი ინსტიტუტის მუშაკთა ნაწილისა და სოხუმის საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით ინსტიტუტის სანიტარული მდგომარეობის შესასწავლად თბილისიდან ჩამოვიდა რესპუბლიკური სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კომისია, რომელმაც დაადგინა, რომ უმოკლეს ვადებში უნდა ჩატარებულიყო ინსტიტუტის სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებები, მაგრამ უმოკლეს ვადებში კი არა, როგორც გითხარით, აგერ უკვე ნახევარი წელიწადი გავიდა ისე, რომ ინსტიტუტში ამ მიზნით თითი თითზე არავის დაუკარებია. ბორის ლაპინმა და მისმა ხელშემწყობებმა მათთვის ბევრად სახარბიელო გადაწყვეტილება მიიღეს — ინსტიტუტის დაშლა და მისი ადლერში გადატანა (ამჟამად ბ. ლაპინი ამ საკითხს მოსკოვში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში აგვარებს).

სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების ნაწილი ვთვლით, რომ აღნიშნული ინსტიტუტი მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვანი კერაა, ის უნდა დარჩეს საქართველოში და ჩადგეს ქართული მეცნიერების სამსახურში. ეს კი მაშინ მოხდება, როცა ინსტიტუტი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებიდან რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში გადმოვა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მხარი დაუჭირა ჩვენს თხოვნას და დაგვპირდა, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე დააყენებს ამ საკითხს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წინაშე. მაგრამ დრო არ ითმენს, შესაძლოა ბორის ლაპინმა ბევრად უფრო ადრე მიიღოს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის დასტური, ვინემ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „პირველ შესაძლებლობას" გამონახავს.

პატივცემულო რედაქცია!

თქვენი გაზეთის მეშვეობით გვინდა მივმართოთ ყველას — საქართველოს სამედიცინო განათლების, სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების აღზრდის, სამამულო სამედიცინო მეცნიერების განვითარების ბედზე მზრუნველთ — ნუ დავრჩებით გულგრილნი ნათქვამის მიმართ, ხმა ავიმაღლოთ, ყველაფერი ვიღონოთ, რათა საქართველო არ დარჩეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ცენტრის გარეშე!

**სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა ნაწილის სახელით ინსტიტუტის ფსიქოფარმაკოლოგიური ლაბორატორიის ასპირანტი**

**მარინე სხულუხია**





# ეროვნული მოძრაობის ფოტომატიანე

6 აპრილს, ძველ თბილისში, რიყეზე, საქართველოს ფოტოჟურნალისტთა და კინოდოკუმენტალისტთა ასოციაციამ მერაბ კოსტავას სახელობის ფოტოგალერეა გახსნა, სადაც 9 აპრილისადმი მიძღვნილი გამოფენა მოეწყო.

ძველი თბილისის უბნებიდან რიყე ოდითგანვე ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ადგილი იყო, მაგრამ, ბოლო ხანებში მას პომპეზური, საზეიმო იერი შიეცა. ჩვენი დედაქალაქის ეს უძველესი, ყველაზე კოლორიტული ადგილი ლამის მხოლოდ დროის მატარებელთა და მოქეიფეთა თავშესაყარ ადგილად იქცა. ამდენად, უზომოდ გასახარია, რომ ყოფილ რესტორან „ოდიშის" ადგილას დღეიდან საქართველოს ეროვნული აღორძინების ამსახველი გალერეა იქნება.

შარშან ფოტოხელოვნების ისტორიის 150 წელი აღინიშნა, მაგრამ საქართველოში ეროვნული მოძრაობის ამსახველი არც ერთი გალერეა არ გვქონია. ასოციაციის პირველი ღონისძიებაც ამას ემსახურება.

პირველ გამოფენაზე წარმოდგენილია ფოტოები, რომლებიც აპრილის განსაცდელის წინა და შემდგომ პერიოდებს ასახავს. აქ არის ნოემბრის შიმშილობის დღეები, აპრილის აქციის პირველი დღე და ტრაგიკული ღამე... პირველი დღის ამსახველი ფოტოეში გმირული შემართებით, შეუპოვრობით, თავისუფლების დაუოკებელი სურვილით არიან დამუხტულნი, ამას მოჰყვება აპრილის მოწამეთა სახეები, დედების ვარამი და გოდება, შემდეგ 26 მაისი. მერაბ კოსტავას დაბადების დღე რიყეზე, მერე ისევ მერაბ კოსტავა, ოღონდ ახლა უკვდავების გზაზე... სიონის ტაძარი, ცრემლი, მწუხარება და გამოთხოვება ეროვნულ გმირთან.

შემთხვევითი არ არის, რომ ამ ფოტოების ავტორი გახლავთ ახალშექმნილი ფოტოჟურნალისტთა და კინოდოკუმენტალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, ჟურნალისტი და რეჟისორი თამაზ ბიბილური. მასთან საუბრიდან შევიტყვე, რომ ეროვნული მოძრაობის ამსახველი ეს ფოტოდარბაზი ამიერიდან ეროვნული თვითშეგნების, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სამსახურში ჩადგება.

პერსპექტივაში უამრავი საქმე აქვთ დასახული ასოციაციის წევრებს: მოაწყონ საერთაშორისო აქციები, მოძებნონ საზღვარგარეთ ქართველი ფოტოჟურნალისტების ნაწარმოებები, ჩაატარონ უცხოეთის ქვეყნებთან ერთობლივი გამოფენები.

საგულისხმოა, რომ ეს ასოციაცია ერთგვარად დაეხმარება ჩვენში არსებული მწვავე ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრასაც, და აი, როგორ: გადაწყვეტილია უცხოელ კოლეგებთან ერთად საქართველოს ტერიტორიის შემოვლა, ეკოლოგიურად საგანგაშო ადგილების ფოტოზე აღბეჭდვა და საქვეყნოდ გამოფენა.

ამ დღეებში ასოციაცია მოაწყობს ე. წ. „არაფორმალური" კინოს ფესტივალს. იგი გულისხმობს კინოსტუდიის გეგმით გაუთვალისწინებელი და მოყვარულთა მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმების ჩვენებას. მნახველები აქვე იხილავენ სააღდგომო გამოფენას.

ასოციაციას უკვე გამოუჩნდა სპონსორი (თავმჯდომარე, იოსებ ჭაბაშვილი) — კოოპერატივი „კრიალოსანი". სასურველია, თუ მათი რიცხვი გამრავლდება.

მერაბ კოსტავას სახელობის ფოტოგალერეას სულ მალე საპატრიარქო ქრისტიანული წესით აკურთხევს.

მართლაც, კურთხეულ იყოს მათი საქმე საქართველოს სადიდებლად.

**ნატო გოგოლაშვილი,**
**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.**





თამაზ ბიბილურის ფოტოები

# ცრემლისა და სინანულის კვალდაკვალ

ვაგლახ, რომ ამჯერადაც გვიხდება დაუოკებელი გულისტკივილითა და მწუხარებით დავიტიროთ ხუთი ახალგაზრდის დაკარგვა. დიდია დანაკლისი არა მხოლოდ გარდაცვლილთა ოჯახების, ახლობლებისა თუ მეგობრების, არამედ მთელი ქართველი ერისათვის. კვლავ და კვლავ ბრმა შემთხვევის შედეგად თვალსა და ხელს შუა გამოგვეცალნენ სიცოცხლით აღსავსე ჭაბუკები, რომლებსაც ვინ იცის რა დიდებული მომავალი ელოდათ, რა ფუძემაგარი და უხვჯალაბიანი მომავალი ქართული ოჯახების უფროსობა უნდა გაეწიათ...

ისევ მანქანამ, ისევ ავტოკატასტროფამ გამოგვაცალა ხელიდან ხუთი ერთიერთმანეთზე უკეთესი ახალგაზრდა: უჩა ჩეკურიშვილი, თამაზ ფაშურიშვილი, გია ჯანგირაშვილი, გიორგი დანაჭრელიშვილი, ვაჟა ფილაური. უკვე მერამდენედ, გვიხდება ცრემლისა და სინანულის კვალდაკვალ ღრმა ჩაფიქრება იმაზე, თუ რა გვჭირს, რა გვემართება, რატომ არ ვუფრთხილდებით ერთმანეთსა და საკუთარ თავსაც? განა ასე ძნელია შეგნება იმისა, რომ გზაზე გასულთ საზოგადოდ და ავტომანქანით მგზავრობისას, განსაკუთრებით, აუცილებელია ყურადღების მაქსიმალური მობილიზება, რომ მოსალოდნელი ხიფათი თავიდან ავიცილოთ? არა და, ავტოსაგზაო შემთხვევათა მზარდი დინამიკა სულ უფრო მეტ თავსატეხს უჩენს თითოეულ ჩვენთაგანს, საზოგადოებას, მთლიანად ერს...

მშვიდობით ჩვენო სისხლო და ხორცო, ჩვენო ტკივილო, ჩვენო ყველაზე დიდო სევდავ, ჩვენო მარად დაუვიწყარო ჭაბუკებო!

**თიანეთის საშუალო სკოლა ინტერნატის № 78-ე საშუალო პროფტექსასწავლებლის მასწავლებლები და მოსწავლეები**

# ეს ვის უნდა ეპატიოს?



ონის რაიონის სოფელ ნიგვზარაში მცხოვრები გელა გობეჯიშვილი სკოლის დამთავრებისთანავე გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში (1988 წლის ნოემბერში). გავიდა ერთი წელი და სამი თვე. 1990 წლის 11 მარტს მოგვივიდა დეპეშა — სასწრაფოდ ჩამოდით (მშობლებს წერენ), თქვენი თანდასწრებაა საჭიროო. არ გაუვლია 5–6 საათს და მოვიდა დაღუპვის დეპეშა.

მშობლები, ისედაც უძლური ხალხი იყვნენ, ეკონომიკურად ძალიან გაჭირვებულნი. კონტუზიანი, უენო მამა, 48 წლის პენსიონერი, ვერ დადის. დედაც ავადმყოფი, გაჭირვებულია. მოგეხსენებათ რაჭის მდგომარეობა და იქაური კოლმეურნეობა, — დარიბ-ღატაკი. აი, იმ ადამიანების რაცხვში წერია გელა გობეჯიშვილის ოჯახიც.

1990 წლის 16 მარტს ამ ოჯახს მოუყვანეს მკვდარი შვილი და ეს უბედური ოჯახი მთლად გაუბედურდა.

გელა მოკლული იყო ტყვიით, საფეთქელში. მისი მკვლელობის მიზეზი ყოფილა კინოში წასვლა. შემდეგ თურმე შეაგდეს „გაუბახტში“ და გახადეს ფორმა. ფორმის ქვეშ სცმია პიჟამო, სიცივის გამო. უთქვამთ, გაიხადე ეგეცო. მას არ გაუხდია. შევაშინებო, — ნაგანი ამოუღია უფროსს. გელამ ხელი აკრაო და გავარდაო. თავის ქალა ჰქონდა ახდილი.

განა ეს ვინმეს უნდა ეპატიოს?

**არაჩვეულებრივი** ათლეტი გედი შანიძე, 40 წლისაც არ იყო სიცოცხლეს რომ გამოესალმა. ეს ვაჟკაცი ისეთი ფიზიკური შეძლებისა გახლდათ, რომ ყველა, ვისაც კი ერთხელ მაინც უნახავს იგი, უთუოდ გაკვირდებოდა იმით, თუ რამ მოკლა თითქოსდა ყოვლისშემძლე, ძლიერი სპორტსმენი.

ფენომენალური მონაცემების მქონეს, არასოდეს უცდია სერიოზულად მოკიდებოდა დიდ სპორტს. ასეთები იყვნენ და არიან სანდრო მხეიძე, ქორქიკა იაშვილი, კუკური ნიჟარაძე, თენგიზ კეკელიძე, დოდო აბაშიძე, კიმი ალიაშვილი, თამაზ კალანდარიშვილი, კოკა მუჯირი, გურამ ნემსაძე, მურთაზ ძიმისტარაშვილი და ათას კაცში გამორჩეული ძმანი მათნი.

მათი დასის ტოლსწორი წევრი გახლდათ გედი შანიძეც. ბუნებით რაინდ ვაჟკაცს გაჭირვებული არასოდეს მიუტოვებია.

რამდენი ფაქტის გახსენება შეუძლიათ მის მეგობრებს, როცა დაჩაგრული და შეურაცხყოფილი გაუმხნევებია, მოხმარებია, ყველასთვის საკადრისი მიუზღავს.

რაინდ ვაჟკაცს საოცარი მუსიკალური ნიჭიც ჰქონდა. ჰანგის თავისებური, განუმეორებელი ინტერპრეტაციის უნარიც და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილის სიმღერით აჯადოებდა მსმენელს. ათას ხმაში გამოსარჩევი გახლდათ მისი ოდნავ ბზარნაკრავი ხმა და

# გედის სიმღერა

მისებრი შეკიდება ქართული რუსული თუ უცხოური რომანსისა.

მიუხედავად იმისა, რომ მას არასოდეს უცდია ესტრადის მომღერლობა, ერთი-ორჯერ მაინც ვერ ასცდა სცენას. ერთხელ თბილისში ჩამოსულმა იტალიელმა მომღერალმა ქალმა, ჯოვანამ, ხალხს შესთავაზა ემღერა მასთან ერთად „ჩაო, ჩაო, ბამბინო“. ჯოვანას მიკროფონი მიჰქონდა მაყურებლებთან ახლოს და სთხოვდა სიმღერით მხარი აებათ მისთვის. პირველ რიგებში მეუღლესთან მჯდომმა გედიმ თავისებურად ხიბლიანად ჩაამღერა მიკროფონში. ჯოვანამ მყის იგრძნო, ვისთანაც ჰქონდა საქმე, ხელი ჩაჰკიდა გედის, ესტრადაზე აიყვანა და იქ მათ შესანიშნავად იმღერეს დუეტი.

ერთ ზაფხულს გედი იუგოსლავიაში ახლდა ტურისტების ჯგუფს, რომლის წევრებიც ზაგრების დათვალიერებისას ფეშენებელურ ბარს ესტუმრნენ. ესტრადაზე გამართულ კონცერტს ქართველებიც შეუერთდნენ. მათ შორის გედი გახლდათ გამორჩეული. მან ლამის ყველა ინსტრუმენტზე დაუკრა და რაღა თქმა უნდა, იმღერა კიდეც. კონცერტის ბოლოს მასთან მივიდა ბარის შეფი, ქალაქის ალამი და ღერბი გადასცა და შესთავაზა, მე მოგიხერხებ წელიწადში სამი თვე რომ აქ დაჰყო, ეს დიდძალ ხალხს მომიზიდავსო.

გედიმ იქ მაგიდის ჩოგბურთშიც ისახელა თავი, რომელსაც ბრწყინვალედ თამაშობდა და ტურისტთა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

თბილისში გედის ნაცნობ-მეგობრებს კარგა ხანს მოსდიოდათ წერილები, სადაც იუგოსლაველები გულთბილად კითხულობდნენ სანჩოს (ასე შეარქვეს მათ გედის, მისი იუმორის და იმიტაციის უნარის გამო).

პროფესიით მეტყევე-ინჟინერი გახლდათ. ზედმიწევნით კარგად იცოდა თავისი საქმე, თუმცა კი არ უყვარდა საკუთარი ცოდნისა და საზრიანობის გამჟღავნება. ერთი შეხედვით ბოჰემის თანაზიარი კაცი, საოცარ ნაკითხობას ამჟღავნებდა, თუკი საუბარი მოიტანდა.



განსაკუთრებით კარგად იცოდა პოეზია. მის მცნობელთ მუდამ აოცებდა ის, თუ მუდამ საზოგადოების შუაგულში მყოფი კაცი, მოზიარე მრავალთა ლხინისა თუ ჭირის, როდის ასწრებდა ამდენი ლიტერატურის წაკითხვას და სწავლას.

გედის მრავალ საუცხოო თვისებათაგან უმთავრესი ის გახლდათ, რომ იგი მუდამ სხვაზე იყო მოფიქრალი და მზრუნველი.

მასთან ახლომყოფი მუდამ იმედიანად გრძნობდა თავს. ასეთი იყო მისი სულიერი ემანაცია. იქნებ ამანაც დასწვა ასე ადრე.

ის შესანიშნავი მამაც გახლდათ. მისთვის ძვირფასი იყო მეუღლე, არა მარტოდენ როგორც ოჯახის მეურვე, არამედ როგორც მეგობარი.

სიცოცხლის ბოლომდე ატარა მან განუკურნებელი ტკივილი თავისი პირველი ბავშვის დაღუპვის გამო. თავად კი ვერ მოესწრო გახარებას პატარა ლევანის დაკაცებით, ვისაც უკვე თავიდანვე სპარტანულად წვრთნიდა.

უცნაური იყო მისი გარდაცვალება. 1978 წლის 1 იანვარს დაიღუპა გედის მამა — ათი წლის მერე ზუსტად იმავე დღეს მას მიჰყვა გედიც.

ასეთია გედი შანიძის ცხოვრების არასრული ქარგა და პიროვნების მკრთალი სილუეტი.

პოეტ მიხეილ ქელიძეს აქვს ერთი ლექსი სათაურით „კაცი რომელიც დააკლდა ქალაქს“.

სწორედ რომ გედი შანიძეზეა ეს სიტყვები ნათქვამი.

**ედიშერ გიორგაძე**

**შარშანდელი** 9 აპრილი ყველაზე შავ დღედ შერაცხა ქართველმა ერმა. ამიტომაც, ყველა საწუხარის, ტკივილის საწყაოდ ის მიგვაჩნია, ყველაფერს მას ვუკავშირებთ.

...ამ ბოლო დროს, როგორ ხშირად გაიგონებთ: 9 აპრილს გადაურჩა და, მოძმის ტყვიამ ან დანამ იმსხვერპლაო... როგორ ავბედით თად აგვეკვიატა ბრძენი წინაპრის გამონათქვამი — ცული მე რას დამაკლებდა, ტარი ხის რომ არ იყოსო.

დათო ლუდუშაურიც გადაურჩა 9 აპრილს. მომწამვლელი კაფსულების ცვენაში გამოიარა, ის კი არა, ერთი კაფსულა საკუთარი ხელითაც მოისროლა ხალხისაგან შორს... ეგებ, ერთით ნაკლები ადამიანი გამწარდესო... დაწითლებული თვალებით, უბეში შერჩენილი სანთლებით დაბრუნდა შინ.

რამდენიმე შტრიხი დათოს ბიოგრაფიიდან: დაიბადა 1961 წლის 12 ივლისს. ფრიადზე დაამთავრა თბილისის მე-14 სკოლა. ორი წლის შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა, სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე. 86-ში, დიპლომის მიღებისთანავე, საკუთარი მოთხოვნით წავიდა ყაზბეგის რაიონში. ძირძველი მოხევის სისხლმა გაიღვიძა და თავისიც გაიტანა. წინაპართა მიწა-წყალზე, სოფელ სნოში სტომატოლოგიური კლინიკა გახსნა 25 წლის ექიმმა. რაიონის ხელმძღვანელობა, მთავარი ექიმი — ყველა მხარში ამოუდგა დათოს. მალე, თემის საბჭოს წევრი, რაიონის სახალხო ფრონტის წარმომადგენელი გახდა.

ბანალურია, მაგრამ ყველაფერს ასწრებდა: ჯვრის უღელტეხილსა და დარიალის ხეობის საგუშაგოზე დგომასაც (შარშანდელი ზაფხულის ინციდენტებთან დაკავშირებით) და პაციენტთა მიმართ გულისხმიერებასაც, — თბილისში, როდის რა მიტინგი იყო და ის იქ,

# რო- დემ- დე?!



ყაზბეგში შეიტყობდა ხოლმე. არაფერი მნიშვნელოვანი არ გამორჩებოდა... ყველგან იყო.

...იმასთან ერთად, რომ დათო მართლაც კარგი ბიჭი იყო, — კარგი მეგობარი, კარგი ძმა, კარგი შვილი, კარგი ექიმი, კარგი ქართველი, — თითქმის არავინ იცოდა, რომ იგი კარგი მხატვარიც იყო. არსად არ შემდგარა მისი ნახატების გამოფენა... მხოლოდ სახლში (პოლა ლომთათიძის 26-ში), საკუთარ ოთახში...

...პატარა პაციენტების, საერთოდ, ბავშვების განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა. სწორედ ამიტომ, ყაზბეგის რაიონულ საავადმყოფოში ბავშვთა განყოფილების კედლები დისნეის გმირებით მოხატა; რა თქმა უნდა, საკუთარი ინიციატივით.

მის ოთახში ახლა ყველაფერი უცვლელი არის. თავისი ხელით გაკეთებული მოლბერტი, — ბოლო ნამუშევრით, მაცხოვრის დაუმთავრებელი პორტრეტით; ფერებშემხმარი პალიტრა, პირადი ნივთები, რიუნოსკე აკუტაგავას წიგნი — ჩანიშნული ადგილებით: „უფრო ღრმად ჩაეზარდე მიწას ფესვებით... იქნებ შენს თავზე მოგროვილი სავდრო ღრუბლები ოდესმე განიფანტოს კიდეც. ამიტომ მტკიცედ უნდა იდგე ფეხზე. შენივე თავისთვის! შენთა შვილთათვის! ნურც გაამპარტავნდები, ნურც დაიმცირებ თავს, და შენ აღსდგები“. ეს გახლავთ ნაწყვეტი მოთხრობიდან „დიალოგი წყვდიადში“. დარწმუნებული ვარ, აქ მოხმობილი სიტყვები მისი ცხოვრების კრედოც იყო.

...მოვიდა საშინელი რიცხვიც: 1989 წლის 1 აგვისტო. ულირსი ქართველის ტყვიით განიგმირა ღირსეული ქართველი, 28 წლის დათო ლუდუშაური. კიდევ ერთი მოუშუშებელი ჭრილობა დააჩნდა გულს, ერთხელ კიდევ დაგვსეტყვა კაენის ცოდვამ...

როდემდე? როდემდე? როდემდე?!

**რუსუდან გაბროშვილი**

დადგა ქრისტიანთა უდიდესი დღესასწაული — აღდგომა. იესო ქრისტე, ძე ღვთისა, ჩვენთვის გარდამოხდა ციდან, განკაცდა და ჯვარს ეცვა ჩვენი ცოდვებისათვის, ხოლო მესამე დღეს მკვდრეთით აღსდგა და ამაღლდა ზეცად. ამიტომაცაა აღდგომა ჩვენი მიცვალებულების სულის მოსახსენებელი დღეც, ამიტომაც ვუნთებთ სანთლებს, რათა ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი განწმენდილი სულები...

საიქიოს სასუფეველს დასასრული არა აქვს, ჩვენი მახლობელთა სულები იქიდან ლოცულობენ ჩვენთვის. ჩვენც ვილოცოთ მათთვის და ღმერთს შევევედროთ, რომ მშვიდობა, სიყვარული და სათნოება მოგვანიჭოს ჩვენს მიწიერ ცხოვრებაში.

# ისევ ჰკიდია თეთრი ხალათი

კიდევ ერთი უდროოდ შეწყვეტილი ახალგაზრდა სიცოცხლე... მხოლოდ 27 წელი იცხოვრა პაატა ქართველიშვილმა უანგაროდ, მართლაც, გულმხურვალედ ემსახურა ხალხს და ათასობით ადამიანის ცრემლი გაიყოლა.

მისი ბიოგრაფია სულ ორიოდ სტრიქონში ჩაეტევა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მარნეულის საავადმყოფოში გაანაწილეს ექიმად. თავისი ხანმოკლე სიცოცხლე კაცურად განვლო, და კაცურადაც მოკვდა. იცოდა უკურნებელი სენი რომ სჭირდა, სხვათა მკურნალმა საკუთარი სატკივარი იცოდა, მაგრამ სულით არ დაცემულა, არ დათრგუნულა, ბოლომდე, სანამ ფეხზე იდგა, არ გაუხდია თეთრი ხალათი და სხვის ჭირს ებრძოდა.

ეგ იყო მხოლოდ, პოეზიაში ამჟღავნებდა თავის საწუხარს: „როდესაც მიეწვდი ოცნების ფრინველს, როცა ხელთ ვიპყარ მზის სატევარი, მე სწორედ მაშინ წავიფორხილე, წამომეწია ბედიმდევარი“. თავისთვის, ჩუმად ეთხოვებოდა სიცოცხლეს, სიყვარულს, სამომავლო ოცნებებს, რასაც ახდენა აღარ ეწერა: „აანთეთ სანთლები, უმღერეთ სიყვარულს, გული ჩაიფერფლე ჩუმად, სიყვარულს ფერება, სიყვარულს ფარვა, სიყვარულს გაფრთხილება უნდა“. ეთხოვებოდა გულისწორს: „ძვირფასო, როცა გავქრები ხვალე, მე შენს აჩრდილად გადავიქცევი“.

საქართველოს სიყვარულით გულანთებული მამულიშვილი იყო, სალოცავ ხატად ჰქონდა გამხდარი სამშობლო: „სტუმრისათვის სავსე ფიალა, მტრისთვის შიშველი ხმალი, ქვეყნისათვის მსხვერპლად შეწირვის, ღმერთო, მომეცი ძალი“: „თუ დავითის სისხლი გიდუღს ძარღვებში, შოთას სიტყვის თუ ხარ გულით დამჯერი, მოკლედ — თუ ხარ ვაჟკაცი და ქართველი, მოიქნიე, დაჰკარი და გასჭერი“.

31 დეკემბერს, ახალი წლის წინა ღამეს ერთი წელიწადი შესრულდა რაც პაატა ქართველიშვილი აღარ არის. 15 თვეა ხელუხლებლად ჰკიდია მისი თეთრი ხალათი მარნეულის საავადმყოფოში, როგორც მოგონება უდროოდ წასულ მეგობარზე, ექიმსა და მამულიშვილზე.

**ხოსო დავითაშვილი,**
**მარნეულის საავადმყოფოს ექიმი**

# „საბრძოლო დავალებას“ შეეწირა

ჯონი გვაზავას კი ჯერ ცხრამეტიც არ შესრულებოდა. საშუალო სკოლა დაამთავრა, ინსტიტუტშიც სცადა ბედი, მაგრამ... არა უშავს, ჯარსაც ბარემ მოვიხდი და მერე დავამთავრებო უმაღლესს. მართლაც, თითქოს რა უშავდა, რუსული კარგად იცოდა, სუსტთა და უმწეოთა ქომაგი, უფროსების დამჯერე და ზრდილი, ადამიანებთან კონტაქტს იოლად ამყარებდა. სადესანტო ნაწილში მოხვედრამ კიდეც გაახარა გოლიათი ჭაბუკი. ნამდვილი ათლეტი გახლდათ, ხუთფუთიანი გირებით ნავარჯიშევ-ნაწრთობს, ფიზიკური მხნეობა არ აკლდა, სამხედრო საქმეც აინტერესებდა.

არც ის ეწერა თურმე, ჯარისკაცის ფიცის მიღებას მოსწრებოდა. გაწვევიდან ათიოდე დღის შემდეგ მისი დაღუპვის ცნობა მოვიდა. ცოტა მოგვიანებით სამხედრო ნაწილიდან იტყობინებოდნენ, რომ ჯონი სამხედრო დავალების შესრულებისას დაიღუპა. „იგი ყველაფერში პირველობდა, — სწერდნენ მშობლებს, — უკანასკნელი იყო მხოლოდ თავისი სიცოცხლის გადარჩენისას“.

მხედრულ ფორმაში გადაღებული ერთადერთი ფოტოსურათი, საიდანაც სახენათელი, გაღიმებული ჭაბუკი შემოგვყურებს, ნაწილში კი არა, თბილისში გადაუღია წვევამდელს. დედას გაუხარდება, — უჩქარია. დედ-მამისა და უმცროსი ძმის გასახარებლად იმ ბარათის გამოგზავნაც, ალბათ როგორ ეჩქარებოდა, მაგრამ... ჯონის საშინაო დავალების რვეულებთან და სხვა წერილებთან ერთად, მის ხელშენახებ სუფთა ფურცელს ორად-ორი ბწკარი შემო-



უნახავს: „გამარჯობა, ძვირფასო მშობლებო, საყვარელო ძმაო ლაშა“...

„ვინ იცის, რისი მოწერა უნდოდა?“ — ბედისწერულად აკვიატებია ეს კითხვა ჯონის ახალგაზრდა დედ-მამას, განუზომელი ურვისაგან წელში გატეხილებს, ამაოდ რომ ეძებენ თავიანთ სრულიად ჩვეულებრივ, ადამიანურ ბიოგრაფიებში „ცოდვებს, რისთვისაც შესაძლოა ასე სასტიკად დასჯილიყვნენ“, „ვინ იცის, რას მომწერდა, ვინ იცის, რისი თქმა უნდოდა“... პატარა, დაუდგრომელ ლაშასაც ამ ფიქრმა წაართვა ბავშვობა.

სულ რამდენიმე თვეც და მაცნე-მახარობელი უნდა მოსდგომოდა გვაზავების ჭიშკარს, ან თვითონ ჯონის უნდა შემოეღო კარები და სიხარულით მაღლა აწეულიყო სახლის ჭერი, მაგრამ აღარასოდეს ეს არ იქნება. ველარც შეჭირვებულ მამულს შეეძინება კიდევ ერთი ღირსეული მოქალაქე, უთუოდ რომ იტყოდა თავის სათქმელს, უთუოდ რომ გააკეთებდა საკეთებელს საქართველოსთვის...

ვაგლახ! ყოველი ცისმარე იმაზე ფიქრით იწყება ჯონის ახლობლებისთვის, მაინც რა მოხდა, რა „საბრძოლო დავალებამ“ შეიწირა ჯერაც ფიცმიუღებელი, მხედრობაში უწვრთნელი ჭაბუკი. ოც თავის თანატოლს შორის იგი ერთადერთი მსხვერპლი რად აღმოჩნდა უბედური შემთხვევისა?!

**ციცინო ნანავა,**
**მაკა ჩაგანავა.**

# მცირედი ერგო წუთისოფელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ ჩაჩლეიშვილი... რა მწარედ ხვდება დღეს ყურს ეს სახელი და გვარი... რა მწარედ ხვდება გულს სიცოცხლით, სიყვარულით, ნატვრით სავსე 25 წლის ბიჭის სიკვდილი...

ნათქვამია, წაქცეული ხე ადვილად იზომებაო, კარგის სათქმელადაც მაშინ ვიმეტებთ ადამიანებს, როცა ამ წუთისოფლიდან სამუდამო განსასვენებელზე მივაცილებთ ხოლმე, მაგრამ არა — ჩვენი მერაბი სიცოცხლეშივე გრძნობდა ჩვენგან იმ დიდ სიყვარულს და პატივისცემას, რასაც მისი საოცრად მომხიბვლელი პიროვნება იმსახურებდა.

კარგი თბილისელი ბიჭი იყო... მცირედი ერგო წუთისოფელი... მეგობრისათვის თავდადებულს, არ შეეძლო მინდობილ საქმეს ზერელედ, გულგრილად მოჰკიდებოდა და ბოლომდე არ დახარჯულიყო... უხვად გვინაწილებდა გულის სითბოს დიდსა თუ პატარას...

მოწაფეობის შემდეგ სტუდენტობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გაატარა, მერე ამავე ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის კათედრის დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურა... პარალელურად შრომითი ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო დანერგვის ინსტიტუტში მუშაობდა.

ჯანსაღი სულის პატრონს სხეულიც ჯანსაღი ჰქონდა, დიდხანს უნდა ეცოცხლა, მაგრამ მოულოდნელად მოპარვით მოვიდა ჩასაფრებული აღსასრული... ულმობელმა სენმა შეუბრალებლად ჩააქრო ლამაზი სიცოცხლე, ისე წავიდა ფრთები ვერ შეასხა სანუკვარ ოცნებას შეექმნა, ნამდვილი ქართული ოჯახი, („ეტალონურიო“ — იტყოდა ხოლმე) ჰყოლოდა ბევრი შვილი... თუმცა ბედნიერებამდე მხოლოდ ნაბიჯი იყო... გადაუდგმელი ერთი ნაბიჯი...

წელს უშენოდ ესტუმრა გაზაფხული შენს სათაყვანებელ თბილისს. მერაბ! სადაც გაიხედავ სიცოცხლე ჩქეფს... ალბათ, ამიტომ, დღეს, როგორც არასდროს, ისე ძნელად სარწმუნოა ჩვენთვის შენი არყოფნა.

**თსსი-ს ეკონომიკური ფაკულტეტის ასპირანტები.**

# დაგვიანებული სიტყვა უმცროს მეგობარზე

**ეს** იყო ექვს-შვიდი წლის წინ. მაშინ საქართველოს საავტორო უფლებების სააგენტოში ვმუშაობდი. მდივანმა მითხრა ახალგაზრდა ბიჭი გელოდებათო. გაიღო კარი და ჩქარი, ენერგიული ნაბიჯებით შემოვიდა დაახლოებით თოთხმეტი წლის ლამაზი, სასიამოვნო გარეგნობის მომღიმარე ბიჭი. მოვიპატიჟე, ჩამოჯდა. მე შმაგი დოლიძე ვარო, — გამეცნო. ნამდვილი სახელი შმაგი გქვიამეთქი? არა, დაბადების მოწმობაში ირაკლი მიწერია, ისე შმაგი მქვია, ამ სახელით უფრო მიცნობენო.

თავისი სტუმრობის მიზანიც გამაცნო: პირადად მე და ჩემს კლასელებსაც ძალიან გვიყვარს გურამ რჩეულიშვილი, გადავწყვიტეთ სკოლაში მისი სახელობის კაბინეტი გავაკეთოთ, კლასის დამრიგებლებს და დირექტორს უკვე მოველაპარაკეთ, ნებართვა მიღებული გვაქვს, ადგილიც გამოყოფილია, მე დამავალეს თქვენთან მოვსულიყავი და ძალიან გთხოვთ დამეხმაროთო. თან მითხრა: მთაში ხშირად დავდივარ, ალპინისტი ვარ, მწვერვალებიც მაქვს დაპყრობილი, ერთი მაღალი უსახელო მწვერვალი თუ აღმოვაჩინე გურამ რჩეულიშვილის სახელი უხდა დავარქვაო.

ძალიან უშუალო, უცერემონიო ბიჭი იყო, ლამაზ სახეზე კეთილი ღიმილი არ სცილდებოდა, აუცილებლად მოგხიბლავდათ მისი ალალი, ემოციური ბუნება. უბრალოდ ეცვა, სასკოლო ლურჯი ფერის შარვალი, ფართოდ საკინძეჩახსნილი ძველი თეთრი პერანგი, ფეხზე მაღალყელიანი ბათინკები, რაც შემოსვლისთანავე თვალში მომხვდა. იგი კარგა ხანს მელაპარაკა გურამ რჩეულიშვილზე და ცოტა ხნის შემდეგ მე მომეჩვენა, რომ შმაგი თავად ძალიან გავდა ახალგაზრდა გურამ რჩეულიშვილს.

შმაგი ხშირად დადიოდა ჩემთან. მე ლენინის მოედანზე ვმუშაობდი, ის კი იქვე, მახლობელ ქუჩაზე ცხოვრობდა, მეზობლები ვიყავით და ესეც ხელს უწყობდა ადვილად მოსულიყო. გულღია, ნათელი, ძალზე კონტაქტური ბიჭი იყო, ჩემი თანამშრომლებიც კი გაიცნო, მე თუ დამაგვიანდებოდა მათთან იჯდა და მელოდა, თან ელაპარაკებოდა, ძალიან საინტერესო და მიმზიდველი ლაპარაკი იცოდა, ფანტაზიაც ისე ჰქონდა განვითარებული, ზოგჯერ სასურველს სინამდვილედ მოგაჩვენებდათ. ხშირად თანამშრომლები მეტყოდნენ: შმაგი იყო, გელოდათ და მერე მოვაო.

ერთ დღეს კარგა ხანს იჯდა ჩემთან და გულახდილად მესაუბრა. მითხრა ერთი ძალიან კარგი გოგო მიყვარს და იმასაც ვუყვარვარო. მერე გაგაცნობთო. ახლა კარგად აღარ მახსოვს, გოგონას რა ერქვა, მაგრამ ზოგჯერ წამოცდებოდა ხოლმე — მე და ნინჩოო. დედაზეც მელაპარაკა. დედა ძალიან მიყვარსო. როცა მამაზე ვკითხე, კარგად არ მახსოვს რა მიპასუხა, მგონი სხვაგან, მუშაობს თუ სხვა ქალაქშია წასულიო. ისიც მითხრა თეატრალურ ინსტიტუტში მინდა ჩავაბარო, ძალიან მიზიდავსო, რეჟისორობა სურდა თუ მსახიობობა კარგად აღარ მახსოვს, მერე კი არჩევანი შეიცვალა და უნივერსიტეტში ჩააბარა. მაშინ მითხრა მოთხრობებს ვწერო, ლექსების შესახებ კი არაფერი უთქვამს, თან მთხოვა თუ დრო გექნებათ მოვიტან და წაიკითხეთ, იქნებ სადმე დამიბეჭდონ კიდეცო; სურვილი ჰქონდა იმ გოგონასაც წაეკითხა მის შესახებ დაწერილი ალალმართალი ბწკარები.

მერე მე სხვა სამსახურში გადამიყვანეს, ლენინის მოედნიდან მოშორებით. ისე ხშირად ველარ ვხვდებოდი ჩემს პატარა გულღია მეგობარს, სისტემატურად მივლინებებშიც ვიყავი. მხოლოდ ორჯერ შემოირბინა და თავისებური ემოციური განცდებით მელაპარაკა. ქუჩაში თუ დამინახავდა ხელად მოიჭრებოდა, გამარჯობათ ბიძია ნუგზარო, გადამკოცნიდა, უცებ მომიყვებოდა თავის ამბავს და ისევე ჩქარი ნაბიჯით გაეშურებოდა სადღაც. სად მიდიოდა, საით მიისწრაფვოდა, სულ სად ეჩქარებოდა?

მე დარწმუნებული ვიყავი რომ ის თავის სათქმელს იტყოდა, ველოდებოდი მისი დაბეჭდილი ნაწერების გამოჩენას, მისი სახელის გახმიანებას; ისიც ვიცოდი, რომ საქართველოს წინსვლისა და დამოუკიდებლობის სასიცოცხლო საქმისათვის თავდადებული ახალგაზრდობის რიგებშიც იდგა, ქართულ დროშას მაღლა მიაფრიალებდა, მამულის სამსახურისაკენ მიისწრაფოდა. ვიცოდი რომ ეს სიცოცხლისათვის, მეგობრობისათვის, სიკეთისათვის ქვეყნად მოვლენილი ბიჭი საკუთარ კვალს დატოვებდა.

სამწუხაროდ და სავალალოდ ეს მას არ დასცალდა, ერთი მშვენიერი, ღირსეული ქართველი ბიჭიც დავკარგეთ, დავკარგეთ ტრაგიკულად, უაზროდ, მოულოდნელად, ასე დავკარგეთ ოციოდე წლის წინ გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსი ნოდარ ჩხეიძე, ქუჩაში სიგარეტის საყიდლად გამოსულს ტროტუარზე შევარდნილი მანქანა რომ დაეჯახა.

ჩვენდა საიმედოდ ამ წუთისოფლიდან ყველა უდროოდ წასული სახელთან და ხსოვნასთან ერთად რაღაც ხელშესახებსაც გვიტოვებს. შმაგი დოლიძესაც დარჩა მისი ახალგაზრდული ნაფიქრალი, დარჩა ლექსები და ნოველები, რომელთა გამოქვეყნება მის სახელს ახალ სიცოცხლეს შემატებს. ეს აუცილებელი საქმეა, რადგან ის ისეთი ბიჭი იყო, რომლის დავიწყება შეუძლებელია და რომლის სახელიც მეგობრებმა დროშასავით სულ მაღლა უნდა ატარონ.

**ნუგზარ წერეთელი**

# სული კი დარჩა



ორი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ბორჯომის სანატორიუმ „ლიკანის“ ახალგაზრდა ექიმები ნანა კლარჯეიშვილი და ლია ლომიძე ჩვენს გვერდით აღარ არიან. ნანამ ორი წელი იმუშავა დამოუკიდებლად, ლიამ — ხუთი. უფროსი კოლეგების სიყვარული და პატივისცემა არ აკლდათ. მაღალკვალიფიციური სპეციალისტები იყვნენ, მაგრამ მათ მიმართ პაციენტთა მადლიერების ახსნა მარტო ამით არ იქნება გამართლებული, ორივეს ჰქონდა ის რაღაც ღვთით ბოძებული ნიჭი სათნოებისა, სიკეთისა, ადამიანებთან უშუალო, გულწრფელი, მართალი ურთიერთობისა, რაც ასე გვჭირდება ყველას, მით უმეტეს ექიმს და რასაც ასე ხშირად მოვისაკლისებთ ხოლმე. სიცოცხლეს შეჰხაროდნენ ქალიშვილები, და ალბათ, ამითაც უნდა აიხსნას პროფესიისადმი მათი ასეთი ერთდროულად მოკრძალებული და თავგანწირული დამოკიდებულება...

იმ საბედისწერო ორშაბათს, დილაადრიან თბილისიდან ბორჯომში ბრუნდებოდნენ, ჩქარობდნენ, რადგან მათთვის უცხო იყო სამსახურისადმი თუნდაც უნებლიეთ გამოჩენილი ზერელე დამოკიდებულება, ავტოსაგზაო შემთხვევამ იმსხვერპლა ორივე. ოჯახის შექმნაც ვერ მოასწრეს, არადა რამდენი ოცნება დარჩათ აუხდენელი. როგორ სჭირდება დღევანდელ საქართველოს ნანასა და ლიას მსგავსი ქართველი ქალები, როგორ დასჭირდება მომავალ საქართველოს ისეთი ახალგაზრდები, ისინი რომ აღზრდიდნენ...

ნანამ და ლიამ დიდი ტკივილი დაგვიტოვეს მათ მეგობრებს. ერთი ნუგეში ის არის, რომ მათი ფაქიზი, ამაღლებული სული კვლავაც ჩვენს გვერდით ტრიალებს და კვლავაც გვაძლევს ზნეობრიობის საუკეთესო მაგალითებს.



**მეგობრები**

# მწვერვალები ტირიან...

„ქართველები იქით ისწრაფვიან, სადაც ფეხი არავის დაუდგამს“ — წერდა გერმანული სპორტული ჟურნალი პუბლიკაციაში, რომელიც ეძღვნებოდა ქართველ მთასვლელს თამაზ წიკლაურს.

„ეძღვნებოდა“ — ცოტა ხანია, რაც ამ სიტყვამ უკვე წარსული გამოხატა; ძალიან ბევრი რამ ეძღვნებოდა მას. ეძღვნებოდა უამრავი სიგელები, (ჩვენ ხომ ადამიანის დამსახურებას ამით ვზომავდით) დიპლომები, საპატიო წოდებები. დროებითი და ამდენად წარმავალი...

მაგრამ ეძღვნებოდა წარუვალიც: დიდი სიყვარული და ისეთი აღფრთოვანება, რომელიც მარტო ძლიერი და რაინდული სულის მქონე კაცისთვისაა ღვთისგან განკუთვნილი.

შეიძლება იკითხოთ რა სჭიდა რომ სულ მთაში დადიოდაო... ზოგი იტყვის ტექნიკური სირთულეო, ზოგი აღიარებაო და სხვა, მაგრამ მისი მიზანი მხოლოდ სიკეთე იყო, სულის სიმრთელე, მთის სილამაზის უსაზღვრო შეცნობა, და როგორც თვითონ ამბობდა: ღმერთთან სიახლოვე, მიზანი კი ერთი იყო. უმაღლესი მწვერვალი — ევერესტი, რომლის სახელშიც მას გაიგივებული ჰქონდა არა პატივმოყვარული იდეა უმაღლესი მწვერვალის დაპყრობისა, არამედ რაღაც ნახევრად შეუცნობელი ჭეშმარიტება, რომლისკენაც ყველა ნორმალური ადამიანი მიისწრაფვის.

ერთხელ ჰკითხეს, მტრები თუ გყავსო? უპასუხა: აბა საიდან, 28 წლის განმავლობაში მარტო მოყვარეების შეძენა მოვასწარიო და ასეც იყო. მრავალ ადამიანს დახმარებია გაჭირვებაში მთაში თუ ბარში და ამას ყველაფერს აკეთებდა არა იმიტომ, რომ მადლი ქვაზე დაედო და წინ დახვედროდა, არამედ ისევ ადამიანისთვის. ცხოვრების ურთულეს მომენტში შეეძლო ეხუმრა და ამ სიტყვით თოკზე დაკიდებული კაცი გაეცინებინა, ძალა შემატა მისთვის, გადაერჩინა, ამასთანავე, თავის თავზე არც ეფიქრა...

ბევრის თქმა შეიძლება მასზე.. წინათგრძნობა ჰქონდა, ბედისწერა იყო თუ სხვა რამ...? სულ იმას ამბობდა, მთას არ უნდა გაუთამამდე, პატივი უნდა სცე, ასეც აკეთებდა, მაგრამ ზვავი მოწყდა, უცხოელთა ჯგუფი, რომელიც მას ახლდა, გამოიყვანა, თვითონ კი... ზევით, თავისი მთების ზევით გაუჩინარდა. და თითქოს გვიბღვერდა მყინვარი, მთელი ხევი, სრულიად საქართველო, ქართველ კაცებს სახეები გაქვავებოდათ, გულში ამბობდნენ... ჭირსა — შიგანო... მაგრამ უმრავლესობას ცრემლი მოუგორავდა მზექაურულ სახეზე.

15 აპრილს თამაზ წიკლაურს 29 წელი შესრულდებოდა, 30 მწვერვალს დაადგა ფეხი და როგორც ჩეხებს უთქვამთ ერთხელ, საქართველოს ცას მისწვდა ხელით. ეს მეტაფორული ფრაზები ცოცხალს უთხრეს. ახლა კი, მართლა მისწვდა ცას, და არა მხოლოდ საქართველოსას...

**კლასელების ჯგუფი**



# ნათელი სახელი

შარშან საქართველომ ბევრი ნათელი ბიჭი დაკარგა, სიხარული დააკლდა მათ მშობლებს, მეგობრებს, ახლობლებს.

31 დეკემბერს სამუდამოდ ჩაიფერფლა კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე. ბრმა შემთხვევამ ხელიდან გამოგვაცალა თავაზიანი, კეთილი, უბრალო, ნამდვილი თბილისელი ბიჭი — ნიკუშა ქლენტი. სამუდამოდ ჩაქრა მისი ნათელი, უძირო ცისფერი თვალები. მის ბაგეებს შეაშრა კეთილი ღიმილი.

20 წლის ასაკში შეწყდა მისი გულისცემა. 49 დღის განმავლობაში თავგანწირვით იბრძოდნენ ექიმები მისი სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ ამაოდ.

წავიდა და თან წაიღო ჩვენი — მეგობრობის გულის ნაწილი. მასთან ერთად დავმარხეთ ჩვენი ბავშვობის უბედნიერესი წლები.

ის ხომ თავისუფალ საქართველოზე ოცნებობდა. სჯეროდა კიდეც, რომ თავისი თვალით იხილავდა ამ სანუკვარ დღეს.

მისი ნათელი სახელი არასოდეს ამოიშლება ჩვენი მეხსიერებიდან.

**მეგობრები**

# საქართველოს მხედრიონის განცხადება

„საქართველოს მხედრიონს" დღიდან დაარსებისა არასოდეს დაუმალავს თავისი დანიშნულება, იგი ყველგან და ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს დაიცვას ქართველი ადამიანის კანონიერი უფლებები. ჩვენ არავითარი პოლიტიკური პროგრამა არ გაგვაჩნია, თუ არ ჩავთვლით იმ ბუნებრივ სურვილს, რომ საქართველო უნდა გახდეს თავისუფალი.

მსოფლიოს ბოლო იმპერია, წითელი რუსეთი ცდილობს შეიცვალოს ფერი, მოატყუოს მსოფლიო საზოგადოებრიობა, რისი საშუალებითაც იმედი აქვს გაიხანგრძლივოს თავისი არსებობა. დრო და ჟამის შესაფერად ტაქტიკასაც იცვლის. თუ ოცდაათიან წლებში მისი მოქმედება აშკარა და უაპელაციო იყო (რასაც საჭიროების შემთხვევაში, ალბათ, დღესაც გაიმეორებს და რისი ნიშნებიც უკვე შეიმჩნევა), ამჟამად ტაქტიკა შეიცვალა ე. წ. „მოძმე რესპუბლიკებში" არამკვიდრი მოსახლეობის ინტერესების „ურთგულეს" დამცველად გვევლინება. მაგალითისათვის ბალტიისპირეთის რესპუბლიკაში შექმნილი ინტერფრონტების საქმიანობაც კმარა. ნიშანდობლივია, რომ „ადამიანთა უფლებების" დამცველებს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ ერთიდაიგივე ეროვნებებთან, მაგალითად აზერბაიჯანელებს საკუთარ სახლში როგორც მოექცნენ, ეს ყველამ იცის. სხვა რეგიონებში კი მათ დამცველებად გამოდიან. ასეთივე დამოკიდებულება აქვთ სომხების, ოსების და თვით რუსების მიმართაც კი.

ამ დღეებში გავრცელდა აშკარად ანტიქართული, ანტიჰუმანური და ყოვლად უზნეო პროკლამაცია, რომლის „მამად და მშობლად" გამოცხადებულია ინტერფრონტის ორგკომიტეტი, რაც ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია. ამ კაციჭამიურ პროკლამაციაში ქართველი ერი ისტორიულად მოღალატედ და მატყუარად, თბილისი და მისი მკვიდრი მოსახლეობა უქნარად, საქართველოს იმპერიად. ქართველები მკვლელებად გამოაცხადეს. ნაცნობი ხელწერაა. ვერაფერს ვიტყვით. ის, რაც არ გამოუვიდათ აფხაზეთში, სამაჩაბლოში, ქვემო ქართლში, აპირებენ განახორციელონ თბილისში. „დაყავი და იბატონეს" პრინციპით მოქმედებას გვაბრალებენ და დავიწყებული აქვს რუსული ანდაზა: „ქურდი ყვირის: დაიჭირეთ ქურდი". ქართველი კაცი და საქართველოში მცხოვრები არაქართველი მსგავს პროვოკაციაზე არ წამოეგება და თუ, მაინც ინტერფრონტელთა შეხვედრა მოხდა, რომელიც 9 მაისს აქვთ დანიშნული, რაც ნიშანდობლივი ფაქტია, ჩვენ არ დავუშვებთ მათ ფუნქციონირებას, რამეთუ, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეს იქნება „მეხუთე კოლონის" შექმნის მცდელობა და ერთა შორის შუღლის ჩამოგდება, რაც ორგანიზებულია მოსკოვის „КГБ"-ს მიერ.

რაც შეეხება „ბანდიტურ ჯგუფს „ჯაბას ბიჭებს", ყველამ იცის და თუ არ იცის, უნდა იცოდეს — ჩვენი მოქმედების მიზანი საქართველოში ხელოვნურად შექმნილი ცხელი წერტილების ლიკვიდაციაა. ვერც ერთი არაქართველი უსამართლო მოქმედებას ვერ დაგვწამებს, პროკლამაციას თუ დავუჯერებთ, ქართველებს დაგვიხოცია აფხაზები, ოსები, აზერბაიჯანელები და სვამენ რიტორიკულ კითხვას — „ვინ არის შემდეგი?" მათ, რატომღაც, ავიწყდებათ იმ ქართველების ხსენება, რომლებიც ზემოთაღნიშნულ ხალხების თუ მათ მიერვე მოტყუებულმა და შეცდომაში შეყვანილმა ჯგუფებმა დახოცა.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, მოსკოვის სუკ-ი (КГБ) ქმნის ხელოვნურ საქმეს ბატონ ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ. ამ რამოდენიმე თვის წინ მოსკოვში მოხდა აფეთქება, ეს აქცია ბრალდება ვინმე გელა აბაშიძეს, რომელიც სუკ-ის შეთითხნილი ვერსიით, ჯაბა იოსელიანის მითითებით მოქმედებდა.

„საქართველოს მხედრიონი" აცხადებს:

ბატონ ჯაბა იოსელიანთან არავითარი ურთიერთობა არ აქვს ზემოხსენებულ პიროვნებას. გვარი აბაშიძე საერთოდ არ ფიგურირებს ჩვენს შორის. ინტერფრონტის შექმნასთან დაკავშირებულ პროკლამაციაში „ჯაბას ბიჭების" ხსენება, იმ ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია, რომელსაც მოსკოვი ამზადებს ქართული ეროვნული მოძრაობის შესაბოჭად. ეს არის პროვოკაცია, რომლის მიზანიცაა ბატონი ჯაბა იოსელიანისათვის და მხედრიონისათვის ჩირქის მოცხება საზოგადოებრიობის თვალში. სუკ-ი მიხვდა, დაქირავებული აგენტებისა და ბრმა იარაღად გამოყენებული პიროვნების მიერ ჭორების გავრცელებით ფონს ვერ გავლენ და აქტიურ, პროვოკაციულ მოქმედებაზე გადავიდა.

„ბატონებო" შეგახსენებთ ერთ შეგონებას: „იყავ თამამი, იყავ თამამი და ნუ იქნები მეტისმეტი თამამი", რადგან სითამამიდან სისულელემდე ერთი ნაბიჯია.

ჩვენ არ დავუშვებთ სუკ-ის გეგმების განხორციელებას არა მარტო განცხადებების საშუალებით, არამედ საქმითაც!

**„საქართველოს მხედრიონი"**

**1990 წელი, 9 აპრილი.**

# გაფიცვა ტყიბულში

ქალაქ ტყიბულში 27 მარტიდან მიმდინარეობს მეშახტეთა გაფიცვა. გაფიცულია ორი შახტი მთლიანად და ერთი ნაწილობრივ. გუშინწინ ქუთაისში გაერთიანება „საქნახშირში" შედგა ტყიბულელ მეშახტეთა საგაფიცვო კომიტეტისა და ტყვარჩელის მეშახტეთა წარმომადგენელთა შეხვედრა. მიღწეულია ურთიერთ სრული შეთანხმებები. საგაფიცვო კომიტეტის ძირითადი მოთხოვნებია: ტყიბულის შახტებისა და ქალაქ ტყიბულის სრული თვითმმართველობა; ტყიბულისა და ტყვარჩელის შახტების საკავშიროდან რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში გადმოცემა; ეკონომიკური აგრარული რეფორმის გატარება. გაფიცვა გრძელდება. გაფიცვას მხარი დაუჭირა საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც თხოვნით მიმართავს წარმოება-ორგანიზაციებს სათანადო დახმარება აღმოუჩინონ მეშახტეებს და გაფიცულ ტყიბულელ მეშახტეთა ოჯახებს. საგაფიცვო ფონდის ანგარიშია № 70026, მრეწვმშენბანკის ტყიბულის განყოფილება.

**დავით ზოდელავა,**

**საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის სახელით.**

ჩვენი სატკივარი

# გარანტია არ არსებობს

**11 აპრილს, მეცნიერებათა აკადემიის შენობაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა სათათბიროს ინიციატივით, საბჭოთა არმიაში საგაზაფხულო გაწვევის გამოცხადებასთან დაკავშირებით, გაიმართა საგანგებო კონფერენცია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი ინტელიგენციის (მხატვართა, თეატრის მოღვაწეთა, კინემატოგრაფისტთა, არქიტექტორთა კავშირები, უცხო ენების, თეატრალური, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტები, სამხატვრო აკადემია, მეცნიერებათა აკადემიის 26 დაწესებულება და ორგანიზაცია), ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ექიმთა ასოციაციის, რუსთაველის საზოგადოების, მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდის, დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების, მწვანეთა მოძრაობის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, მეტალურგთა თავისუფალი კავშირის, კინოსტუდია „ქართული ფილმის" და აგრეთვე ეროვნული ფორუმის წარმომადგენლები...**

**კონფერენცია გახსნა რუსთაველის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ სიგუამ.**

**კონფერენციას უძღვებოდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა სათათბიროს წევრი — გიორგი კობახიძე.**

უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო ახალწვეულთა აქციებმა მოიცვა. ამას დაერთო შევიწროებული, დამცირებული, ფიზიკურად და მორალურად დასახიჩრებული ქართველი ახალგაზრდების ლტოლვა საქართველოში. შარშან სამხედრო სამსახურზე უარი განაცხადა 1300-მა ახალგაზრდამ (ოფიციალურად), ჯარიდან „გამოქცეულთა" რიცხვმა კი 800 კაცს მიაღწია.

საქმე ის გახლავთ, რომ დღეს, მრავალგვარი მოსაზრება არსებობს იმის თაობაზე, თუ სად უნდა იმსახუროს ქართველმა ახალგაზრდამ.

ითხოვენ ქართული საჯარისო ფორმირებების შექმნას.

ითხოვენ შიდა ჯარების ადგილობრივი წვევანდელებით დაკომპლექტებას.

ითხოვენ, რომ საქართველოს მკვიდრმა, საქართველოში მოიხადოს სამხედრო ვალდებულება.

უმრავლესობა კი უარს აცხადებს ოკუპანტთა არმიაში სამსახურზე.

ბოლოს და ბოლოს, რა ვუყოთ ჩვენს შვილებს, ძმებს, ახლობლებს, რა ვურჩიოთ? რით დავაიმედოთ? — სწორედ ამ კითხვებს უპასუხეს და თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს კონფერენციის მონაწილეებმა.

**ირაკლი ბათიაშვილი:** საფრთხე რეალურია, პირველ ყოვლისა, ცუდი მდგომარეობა აქვთ გამოქცეულ ჯარისკაცებს. ამის დასტურად კმარა სამხედრო პროკურორის, კატუსევის გამოსვლა, რომელმაც განაცხადა, რომ ყველა გამოქცეული ჯარისკაცი, რომელსაც მიღებული აქვს ფიცი, პასუხს აგებს სამხედრო ტრიბუნალის წინაშე.

საშემოდგომო გაწვევისაგან განსხვავებით, ამჯერად ძლიერ დაწოლას უნდა ველოდოთ ცენტრიდან. ამიტომ, როდესაც ჩვენთან № 29 სკოლის შენობაში (სადაც ამჟამად მუშაობს ეროვნული ფორუმის სამხედრო კომისია თევდორე მღვდლის (ყოფილი ორჯონიკიძის ქუჩა, 42). მოდიან ახალგაზრდები, რომლებიც უარს აცხადებენ სამხედრო სამსახურზე პოლიტიკური მოსაზრებებით, ჩვენ, უპირველესად ვაფრთხილებთ მის მშობლებს, მოვუწოდებთ დაფიქრებისაკენ. გარანტია არ არსებობს, საჭიროა ერთიანი ძალისხმევა იმისათვის, რომ ჩვენი ახალგაზრდები არ დავუთმოთ სიკვდილს...

ცნობილია, რომ გასულ წელს, საქართველოში 90 ახალგაზრდა ჩამოასვენეს. წელს მდგომარეობა სრულებითაც არ გაუმჯობესებულა. წლის დასაწყისიდან დღემდე, უკვე 26 ქართველი ჯარისკაცია მკვდარი. ამას წინათ, ტაშკენტიდან ხულოში 4 ქართველი ჩამოასვენეს. ექსპერტის დასკვნაში ვკითხულობთ, თითქოს ერთმა მათგანმა მოკლა ჯერ 3 თანამემამულე, და ბოლოს თავი მოიკლა. ეს ძნელი დასაჯერებელია მას შემდეგ, რაც ჩვენმა ექსპერტმა დაადგინა, რომ ეგრეთ წოდებული მკვლელი ზურგიდან მოხვედრილი ტყვიით იყო მკვდარი. ამიტომაც, ბუნებრივია, ჩვენი შიში ქართველი ახალგაზრდობის ხელშეუხებლობისა და უპირველეს ყოვლისა, იმ გარდაუვალი მორალური დასახიჩრების გამო, რაც მათ საბჭოთა საოკუპაციო არმიაში სამსახურის დროს მოელით. სწორედ ეს არის ჩვენი საზოგადოების ზრუნვის საგანი და ამიტომაც მოვედით აქ, რათა ჩვენი სიტყვა ვთქვათ და გადავწყვიტოთ.

**გიორგი წილოსანი:** — ექიმთა ასოციაციის გამგეობის წევრი:

ერთი წლის-განმავლობაში ჩვენ ყოველნაირად ვიკვლევთ იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზით დატოვეს ჯარი. ეს ახალგაზრდები სრულიად ჯანმრთელები წავიდნენ და ინვალიდები კი დაგვიბრუნდნენ (87 კაცი).

სულ ახლახანს, მაიაკოვსკის რაიონში ჩამოიყვანეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც „ბრმა" შემთხვევის გამო სამუდამოდ მიეჯაჭვა ლოგინს.

მე ვთვლი, რომ ჩვენი მოქმედება და დღევანდელი ჩვენი კონფერენციის მიზანიც, უნდა იყოს აქტიური, შემტევი და არა შემრიგებლური.

ჩვენი ასოციაცია არ სცნობს იმ სამედიცინო კომისიას, რომელიც ჩვენს ახალგაზრდებს ჯარში აგზავნის.

ჩვენ, ექიმებს, საკმაო საბუთი გვაქვს იმისათვის, რომ განვაცხადოთ: არც ერთი ქართველი ახალგაზრდა არ უნდა წავიდეს ჯარში.

**ვიქტორ დომუხოვსკი:** — მეტალურგთა თავისუფალი კავშირის წევრი:

მე ვარ თადარიგის ოფიცერი, უფროსი ლეიტენანტი.

ჯარში არსებობს ორი ცნება: რუსი და არარუსი. არარუსთა მდგომარეობა ძალზე მძიმეა, ამიტომაც მოგიწოდებთ, ნუ გაუშვებთ შვილებს ჯარში. ჩვენ უნდა მივიღოთ კანონი ალტერნატიული სამსახურის შესახებ, მითუმეტეს, როცა ჩვენმა მთავრობამ 9 მარტის სესიაზე სცნო საქართველოს ანექსია.

კონფერენციაზე ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ ყოველი ე. წ. ახალწვეული და ეგრეთწოდებული გამოქცეული, რომელსაც სამხედრო პროკურატურა დააკავებს, არის პოლიტპატიმარი (და არა დეზერტირი) და ჩვენ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ისინი გავათავისუფლოთ. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართალი კერძოდ, ჟენევის კონვენცია გამორიცხავს საოკუპაციო არმიის რიგებში ოკუპირებული ქვეყნის მოსახლეობის სამსახურს.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ: ჯემალ ალანია (დავით აღმაშენებლის საზოგადოება), ამბაკო გოლეთიანი (უცხო ენების ინსტიტუტი), ზურაბ ჟვანია (მწვანეთა პარტია), მერაბ კვიტაიშვილი (სამხედრო-სამედიცინო კომისიის წევრი), ნიკოლოზ აბაშიძე (არქიტექტორთა კავშირი), აკადემიის სისტემის თანამშრომლები: სულხან გოგინავა, ზურაბ სოხაძე, არჩილ მაღალაშვილი, გიორგი გვინჩიძე, ვანო ყიფიანი (ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი).

საგანგებო კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს შემდეგი განცხადება:

**ვინაიდან, 1921 წლის თებერვალში, საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არჩეული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით — ფაქტობრივ ანექსიას;**

**ვინაიდან საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ არის საერთაშორისო დანაშაული;**

**ვინაიდან უკანონოა და ბათილი 1921 წლის 21 მაისის მუშურგლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის, 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულება ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ;**

**ვინაიდან არაკანონიერია 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ.**

რაც აგრეთვე, დაადასტურა და აღიარა 1990 წლის 9 მარტის დადგენილებით შეიარაღებული აგრესიის შედეგად მოსულმა, ამჟამად de facto არსებულმა ხელისუფლებამ, საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ,

ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა საგანგებო კონფერენცია აცხადებს, რომ საქართველოს უნდა განესაზღვროს ოკუპირებული, ანექსირებული და უცხო ქვეყნის შეიარაღებული აგრესიის ქვეშ მყოფი ქვეყნის სტატუსი.

ვინაიდან „ჟენევა-49" კონვენციის საფუძველზე ოკუპირებული ქვეყნის მოსახლეობა არ არის ვალდებული იმსახუროს ოკუპანტთა არმიაში და აქედან გამომდინარე, სამხედრო ბეგარა საქართველოში ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს.

ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა საგანგებო კონფერენცია ადგენს:

**1. უნდა შეწყდეს საქართველოს მოსახლეობის გაწვევა საბჭოთა საოკუპაციო არმიის რიგებში;**

**2. ახალგაზრდები, რომლებიც ამჟამად იმყოფებიან ე. წ. სამხედრო სავალდებულო სამსახურში, უნდა იქნან დემობილიზებულნი და დაბრუნდნენ საქართველოში;**

**ქართული ინტელიგენციის წარმომაგენელთა საგანგებო კონფერენცია მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას, ბოიკოტი გამოუცხადოს საბჭოთა სამხედრო ბეგარას;**

**კონფერენცია მოუწოდებს ე. წ. თადარიგის სამხედრო ვალდებულთ, მოიხსნან აღნიშნული ვალდებულება და ჩააბარონ სამხედრო ბილეთები სსრკ თავდაცვის სამინისტროს;**

**კონფერენცია მოუწოდებს საქართველოს ექიმებს, უარი თქვან სამხედრო სამედიცინო კომისიების მუშაობაში მონაწილეობაზე.**

კონფერენციაზე გადაწყდა, რომ ცალკე მომზადდეს რეზოლუციის ტექსტი, რომელშიც დასმული იქნება მოთხოვნები საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ობიექტების სრული ნუსხის გამოქვეყნების და ახალი ობიექტების მშენებლობის შეწყვეტის თაობაზე და დემობილიზებული სამხედრო მოსამსახურეების საქართველოში შემოყვანასა და მათთვის ახალი სამხედრო დასახლებების მშენებლობის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

კონფერენციაზე გამოითქვა რწმენა, რომ ზემოთ მოტანილ დადგენილებებსა და მოწოდებებს, სრული შემადგენლობით მხარს დაუჭერს არ ამარტო ყველა ის დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელთა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ მათ შედგენაში, არამედ სრულიად საქართველოს მოსახლეობაც.

**მარინე დონაძე**

# ცივი ზამთრის ასთერთმეტი დღე-ღამე ანუ რომ აღარ აფეთქდეს დენთის კასრი სამაჩაბლოში

**1989 წლის ბოლო თვეებში შიდა ქართლში მომხდარმა ერთაშორის კონფლიქტმა დიდი მღელვარება გამოიწვია რესპუბლიკის მთელ საზოგადოებაში, ბზარი გაჩნდა ქართველ და ოს ხალხთა ურთიერთობაში.**

**ამ რთულ, დაძაბულ ვითარებაში განსაკუთრებული როლი შინაგან საქმეთა ორგანოებს ეკისრებათ. თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებლებს, მსმენელებს ამ რეგიონში მოუხდათ გამწვავებული ოპერატიული ვითარების შესანელებლად დაუღალავი, წინდახედული მძიმე მუშაობა. უმაღლესი სკოლა რეალურ დახმარებას უწევდა და უწევს სამართალდამცავ ორგანოებს ერთაშორისი კონფლიქტების ლოკალიზებასა და რეგიონში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზებაში.**

**სკოლის პირადი შემადგენლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა ყოველგვარი სისხლისმღვრელი შეტაკების თავიდან აცილება, ადამიანის სიცოცხლის ხსნა.**

**პროფესორ-მასწავლებლების, მსმენელების ძალისხმევა მიმართული იყო ოლქის დასახლებულ პუნქტებსა და გზებზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად. მათ მოვალეობას შეადგენდა შეიარაღებული პიკეტების დაშლა, იარაღის ამოღება, გატაცებული ტრანსპორტის დაბრუნება და სხვა. ისინი მოქმედებდნენ ყველა რთულ, პასუხსაგებ მარშრუტსა და ობიექტზე. ფაქტობრივად თბილისის უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა იყო მობილური ძალა, რომელიც ეფექტურად ართმევდა თავს საზოგადოებრივი დაცვის ყველა სახეს ოლქის ტერიტორიაზე.**

**მოვუსმინოთ ამ მოვლენების უშუალო მონაწილეებს:**

**დავით რაფავა, კურსების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი:**

1989 წლის 22 ნოემბრიდან 1990 წლის მარტამდე მივლინებული ვიყავით შიდა ქართლში ერთაშორისო კონფლიქტის მოსაწესრიგებლად. მე როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მსმენელთან ერთად ხშირად ვიმყოფებოდი სოფლებში: ფრისში, თამარაშენში, კეხვში, ერედვში. მჭიდრო კონტრაქტები მქონდა ადგილობრივ მოსახლეობასთან. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულ მუშაობას ფუჭად არ ჩაუვლია. იქ გატარებულმა ასთერთმეტმა დღემ სასიკეთო შედეგები გამოიღო. ჩვენი სკოლის მსმენელთა და ოფიცერთა თავდადებულმა, გაბედულმა, ობიექტურმა, პროფესიულად სწორმა მოქმედებამ, კეთილგანწყობამ ადგილობრივ მოსახლეობაში პატივისცემა და ავტორიტეტი დაიმსახურა. ჩვენმა მუშაობამ მრავალი არასასიამოვნო, საშიში ინციდენტი აღკვეთა და ააცილა ადგილობრივ მოსახლეობას.

**გრიგოლ მესხი, თბილისის უმაღლესი სკოლის უფროსის მოადგილე სასწავლო-სამეცნიერო დარგში, მილიციის პოდპოლკოვნიკი:**

ჩვენს მსმენელებს ხშირ შემთხვევაში უხდებოდათ, მძაფრი სიტუაციებში გაბედული მოქმედება, სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება. სკოლის თანამშრომელთა, მსმენელთა ოპერატიული ჩარევის შედეგად ხერხდებოდა კონფლიქტების მოგვარება მძიმე შედეგების გარეშე. ასე მაგალითად, 22 დეკემბერს ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია, რომ ავნევსა და ზნაურს შორის მოწყობილ პიკეტზე შეიარაღებულ ექსტრემისტთა მიერ დაკავებული იქნა ავტომანქანა ხუთი ქართველი ახალგაზრდით. სასწრაფოდ გაიგზავნა მილიციის მუშაკთა ჯგუფი. მათ დაკისრებული მისია ვერ შეასრულეს, ვინაიდან ისინი განაიარაღეს და დააკავეს. სასწრაფოდ ჩავედით აღნიშნულ ადგილზე, სადაც ისმოდა სროლის ხმა და მოწოდებები თავდასხმისაკენ. ჩვენ მეტად რთული, დაძაბული მოლაპარაკების შედეგად მოვახერხეთ უკანონოდ დაკავებული ადამიანების გათავისუფლება.

**ლადო იმედაშვილი, პირველი კურსის მსმენელი:**

ფაკულტეტის პირველკურსელები სასწავლო წლის დაწყებისთანავე რთულ ოპერატიულ საქმიანობაში ჩავებით. ამოცანა რთული იყო, მაგრამ ჩვენ, მსმენელებს, კარგად გვქონდა შეგნებული მოქალაქეობრივი და პროფესიული ვალი. ჩვენმა საქმიანობამ შესაძლებელი გახადა მინიმუმამდე დაგვეყვანა ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები. არც თუ იშვიათად საკუთარ სიცოცხლეს ვაგდებდით საფრთხეში. მე მგონი ჩვენ გავუმკლავდით ამ დიდ გამოცდას.

**პავლე ნორაკიძე, თბილისის უმაღლესი სკოლის უფროსის მოადგილე სამწყობრო დარგში, მილიციის პოლკოვნიკი:**

ჩვენი სკოლის პირადი შემადგენლობა თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა ყველა სხვა საჭირო საქმიანობასაც ეწეოდა. დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული სურსათით დატვირთული ავტომანქანების გაცილება, რაც მოსახლეობის აუცილებელი სასარსებო მოთხოვნილებაა. ვატარებდით ახსნა-განმარტებით მუშაობებს ქართველ და ოს მოსახლეობას შორის ნდობისა და კეთილგანწყობის აღსადგენად.

**ბიჭიკო შოხაძე, მილიციის პოდპოლკოვნიკი:**

მე არ შემიძლია ჩვენი საქმიანობა შიდა ქართლში რაღაც განსაკუთრებულ გმირობად ჩავთვალო. ეს ყოველი ჩვენთაგანის მოვალეობა იყო. მაგრამ ისიც არ შემიძლია არ გამოვყო, რომ ჩვენი მსმენელები, პროფესორ-მასწავლებლები მზად იყვნენ გაეკეთებინათ ყველაფერი, რათა მოხსნილიყო დაძაბულობა, დაბრუნებულიყო მშვიდობა ხალხთა შორის.

**იური ზაზოიარკინი, მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსის მოადგილე პოლიტიკურ დარგში, მილიციის პოლკოვნიკი:**

მოქალაქეობრივი და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს შიდა ქართლში, პირველ ყოვლისა, ჩვენ გვამოძრავებდა ერთი მთავარი ამოცანა — გაგვეკეთებინა ყველაფერი სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად. ვეხმარებოდით ყველას, ვინც კი კანონიერი თხოვნით მოგვმართავდა. ვმართავდით შეხვედრა-მოლაპარაკებებს ქ. ცხინვალის თუ სოფლების მცხოვრებლებთან. პირადად შევხვდი არაფორმალური ორგანიზაციის წარმომადგენლებსაც. მე მჯერა, რომ ასეთ დაძაბულ ვითარებაშიც შეიძლება მოინახოს გამოსავალი, მოქმედების სწორი ფორმა.

**ბივი კვანტალიანი, მილიციის სკოლის უფროსი, გენერა-მაიორი:**

მას შემდეგ, რაც სტაბილიზებული გახდა სამაჩაბლოში მდგომარეობა, ჩვენი სკოლის მსმენელები და პროფესორ-მასწავლებლები, 11 მარტს, თბილისში დავბრუნდით. ჩვენ ღრმა ანალიზი გავაკეთეთ, შევაჯამეთ გაწეული მუშაობა, რის შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარუდგინეთ ღრმა, მეცნიერული ანალიზი მომავალში (თუკი ეს საჭირო გახდება) გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეგიონში ოპერატიული ვითარების სრული სტაბილიზაციისა და მუშაობაში არსებული სიძნელეების დასაძლევად.

●

რასაც საქართველოს მილიციის უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებლები თუ მსმენელები ლაპარაკობენ, პრაქტიკულად დაადასტურა უკანასკნელმა მოვლენებმა. ამის შესახებ არის ინფორმაცია „ახალგაზრდა ივერიელის“ წინა ნომერში. იქვეა დაბეჭდილი ცხინვალის ქართველი საზოგადოებრიობის მიმართვა (ეს მიმართვა ერთი დღით ადრე დაიბეჭდა გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“), საიდანაც შემაზრზენ და შემაძრწუნებელ ფაქტს ვიგებთ: ოსი ხალხის გარკვეული ნაწილის წინააღმდეგობის გამო, ქართველებმა, თავიანთ ძირძველ სამშობლოში, ვერ მოახერხეს 9 აპრილს საქართველოს თავისუფლებისათვის ზვარაკად შეწირული ადამიანების ხსოვნის მემორიალური ქვის დადგმა! უფრო მეტიც, ოსი მოსახლეობის ერთმა ნაწილმა შებილწა მემორიალური ქვის დასადგმელად გამიზნული ადგილი, ხოლო ღვთისმშობლის ეკლესიის კედლებზე ყოვლად უხამსი და ბინძური სიტყვები დააწერა! და რაც ყველაზე უფრო საგანგაშოა, ამის ორგანიზატორებად ქალები მოგვევლინენ, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა ტაშფანდურიც კი გამართა და: უარესის ღირსები ხართ ქართველები, აქედან წაეთრიეთ!

კი, მართალია ახლა ამ ქალბატონის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ საიდან მოდის ასეთი ცინიზმი, ზიზღი და ლვარძლი ჩვენდამი?!

კი, მართალია ქართველი საზოგადოებრიობა არ წამოეგო აღნიშნულ პროვოკაციას, მაგრამ როდემდე შეიძლება ნერვების დამორჩილება?!

კი, მართალია ამჯერად არ აფეთქდა ცხინვალში დენთის კასრი, მაგრამ მძაფრი სუნი რომ დგას, ეს როგორ დავმალოთ?!

ათასი კითხვა იბადება, რომელთაც ოპერატიული, გონივრული და კონკრეტული პასუხი უნდა გაეცეს.

ჩვეული უნიათობა, უგერგილობა გამოიჩინეს ადმინისტრაციულ ორგანოების მუშაკებმა. ადგილობრივი მილიციის თანამშრომლები კვლავ პასიური მეთვალყურის როლში იყვნენ და ოდნავაც არ ცდილან წესრიგისაკენ მოეწოდებინათ აღვირახსნილი ანტისაზოგადოებრივი ელემენტებისათვის (გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, 11 აპრილი).

როდემდე გაგრძელდება ასე? — ვფიქრობ ამ კითხვის პასუხი სწორადაა გამოხატული ქალაქ ცხინვალის ქართველი საზოგადოებრიობის ზემოთ აღნიშნულ მიმართვაში.

●

ამჯერად ამ სტრიქონების ავტორის მივლინებას ცხინვალის რაიონში სულ სხვა მისია ჰქონდა. კერძოდ ის, რომ უნდა გამართულიყო ბერულის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების (ამ სასოფლო საბჭოში შედის ექვსი სოფელი: ერედვი, ბერულა, არგვიცი, ფრისი, ზემო ფრისი და მამისაანთუბანი. ამ სოფლებში ცხოვრობს 1039 კომლი, საიდანაც ქართულია 753 კომლი, ხოლო ოსური — 286) მცხოვრებთა წარმომადგენელთა კრება. ამ კრებაზე უნდა შეერჩიათ და გადაეწყვიტათ თბილისის მილიციის უმაღლეს სკოლაში გასაგზავნი კანდიდატურები, მიეცათ მათთვის რეკომენდაციები.

მილიციის სკოლის წარმომადგენლებმა, მაიორმა რეზო ელბაქიძემ და პირველი კურსის მსმენელმა ლადო იმედაშვილმა კრებაზე შეკრებილთ მოუთხრეს სასწავლებელში სწავლისა და ცხოვრების პირობებზე, პასუხები გასცეს მრავალ შეკითხვას.

კრებამ კარგად დაახასიათა და რეკომენდაცია მისცა ბერულის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებს: სოსო ბერუაშვილს, გია ბორცვაძეს, მურმან ბერუაშვილს, მიხეილ თაგოშვილს, რობერტ რომელაშვილს, ვასილ ბაციკაძეს, სპარტაკ მიდოდაშვილს, ლევან ქელეხსაშვილს (ბოლო სამი მილიციის თანამშრომელია. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის წინ ანალოგიური კრება ჩატარდა სოფელ თამარაშენში, ხოლო ამ დღეებში ჩატარდება სოფელ ქურთაში).

კრების დამთავრების შემდეგ თავიანთი მოსაზრების გამოხატვა ვთხოვე მონაწილეებს. რამდენიმე მათგანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ფოიეში მოწყობილი საპროტესტო აქციის მონაწილე აღმოჩნდა. მოსაზრებებზე კი დავითანხმე, მაგრამ სახელისა და გვარების გაზეთში გამოქვეყნებაზე კი უარი განაცხადეს, ვინაიდან ეშინიათ დევნის და შევიწროების.

—ეს არის დიდი საქმე, ჩვენი შვილები თუ ისწავლიან მილიციის სკოლაში. მთელი ის მძიმე პერიოდი, რაც ნოემბრის ბოლოდან იყო ჩვენს სოფლებში, სწორედ მილიციის სკოლის მსმენელებმა და მათმა ხელმძღვანელებმა გადაგვატანინეს. ჩვენი შერჩეული კანდიდატურები არ შეგვარცხვენენ, რადგან დღედაღამ ფხიზლობდნენ და გვიცავდნენ. ღმერთმა ნუ ქნას და ისევ რომ განმეორდეს ის მძიმე დრო, (ამის შესაძლებლობას კი ვამჩნევთ) მათზე უკეთესად ვინ დაგვიცავს?!

— ეს მხოლოდ მილიცია არ იყო, ეს უფრო მეტი იყო — უფრო ქართული მილიციის ჯარი იყო, რამეთუ უმცროსიდან უფროსის ჩათვლით, იმ მძიმე პერიოდში, გვერდიდან არ მოგვცილებიან. კი, მსხვერპლი გვქონდა, მაგრამ რომ არა ისინი, ალბათ სამჯერ და უფრო მეტი იქნებოდა. კარგი იქნება, თუკი ჩვენს მიერ შერჩეულ კანდიდატებს შეძლებისდაგვარად დაეხმარებიან და ვისაც ღირსად მიიჩნევენ, ჩარიცხვაშიც ხელს შეუწყობენ.

— შარშან, 9 აპრილს, ჯალათებმა დაგვხოცეს, მოგვწამლეს... გუშინწინ კი, გეცოდინებათ, რაც მოხდა ცხინვალში: შეგვაგინეს, საქართველოს დაღუპულთა სულები შეურაცხყვეს, სალოცავი შეგვიბილწეს. რომ ყოფილიყნენ ჩვენნი, ქართველი მილიციელები, ამას გაგვიბედავდა ვინმე?

— რაღა ცხინვალში, აგერ აქვე, ჩვენი სოფლის უნივერმაღი, გლოვის აღსანიშნავად ეროვნული დროშები გამოვფინეთ. ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რაღა თქმა უნდა, ეროვნებით ოსმა, დროშას შავი ლენტი მოხსნა და... ფეხსაცმელები დაიწმინდა. ყოფილიყო ქართული მილიცია, ასე გათავხედდებოდა?

— ერთადერთი, რამაც შეიძლება მდგომარეობა გაანეიტრალოს, ესაა ადგილობრივი საკადრო პოლიტიკის ძირეული გარდაქმნა. რაო, ვითომ, ცხივნალიდან რომ არ იარონ ჩვენს სოფელში სხვადასხვა თანამდებობებზე სამუშაოდ, ადგილობრივი კადრი ცოტა გვყავს?

— დიდი მადლობა მილიციის სკოლის ყველა მსმენელს და ხელმძღვანელს ძნელ პერიოდში მხარში დგომისათვის, დიდი მადლობა ახლაც, ვინაიდან ჩვენი ახალგაზრდებისათვის შესანიშნავ საქმეს აპირებენ. მე ქართულ მილიციაში ქართული, ეროვნული ლაშქრის სახე შევიცანი.

●

სამაჩაბლოში სიწყნარეა, თუმცა, ვფიქრობ, მოჩვენებითი. სასურველია კვლავ აღარ იფეთქოს იქ დენთის კასრმა.

**ბესო ჭინჭარაული,**
**ცხინვალის რაიონი,**
**11 აპრილი.**

**მინაწერი: 7 აპრილს ბევრი თქვენგანი გაეცნო სამაჩაბლოს ქართველთა ჩვენს მიმართ გამოგზავნილ საპროტესტო წერილს. ვფიქრობთ, დღევანდელი პუბლიკაცია გარკვეულად ობიექტურობის აღდგენას შეუწყობს ხელს, მაგრამ, 27 მარტის პუბლიკაციაშიც აღინიშნა და ახლაც კვლავ გვინდა გავიმეოროთ — ე. წ. სამხრეთ ოსეთში კვლავ დაძაბული სიტუაციაა, ქართველ მოსახლეობას თავის ქართულ მიწაზე არა აქვს ცხოვრების ნორმალური პირობები; ხშირია მათი შეურაცხყოფის ფაქტები. ამის კიდევ ერთი დადასტურება იყო 9 აპრილს ოსი მოსახლეობის ერთი ნაწილის მიერ ქართველთა წმიდა გრძნობებისადმი გამოჩენილი ყოვლად მოუთმენელი დამოკიდებულება. საზოგადოებრიობა ითხოვს და კვლავაც მოითხოვს სათანადო ორგანოებისაგან ეფექტური, გადამჭრელი ზომების გატარებას, რათა მკაცრად დაისაჯონ ისინი, ვინც ხელს უწყობს ერთა შორის შუღლს და აშკარად ანტიქართულ „მოღვაწეობას“ ეწევა. აქ კი ერთ-ერთი პირველი როლი სწორედ რომ შინაგან საქმეთა ორგანოებს ეკისრება.**

## ინვალიდთა და მათი ბედით დაინტერესებულ ადამიანთა საყურადღებოდ

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის პრეს-ცენტრი იუწყება, რომ ა. წ. 18 აპრილს, ოთხშაბათს, 17 საათზე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის შენობაში, მოწვეულია ასოციაციის რესპუბლიკური, რეგიონალური და რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საგანგებო თათბირი.

ასოციაციის პრეს-ცენტრი იუწყება აგრეთვე, რომ ა. წ. 11 აპრილიდან, ინვალიდთა ასოციაციის საპროგრამო დოკუმენტების შემუშავებასთან, საორგანიზაციო და საფინანსო ხასიათის საკითხებთან დაკავშირებით, წყდება მოქალაქეთა მიღება.

მოქალაქეთა მიღების განახლების დრო დამატებით გამოცხადდება. შეგახსენებთ ჩვენი ანგარიშის ნომერს:

საქართველოს რესპუბლიკური ბინსოცბანკის მთავარი სამმართველო, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაცია, ანგარიშის ნომერი **000 700 448.**

## გავუფრთხილდეთ „აი ია“-ს

ქართული დამწერლობა ჩვენი ერის უმდიდრეს საგანძურს წარმოადგენს. საერთოდ ენა, ანბანი, დამწერლობა, ერის სულის, ხასიათისა თუ ბუნების ჭეშმარიტი გამოხატულებაა. აი, ქართული ასოებიც, მაყად შემართული, ომახიანი, გამართული ლარივით სწორი, ამასთან საოცრად მომრგვალებული, დაბოლოებანი კი ჩუქურთმებით დამშვენებული. გავიხსენოთ ორნამენტებით მოხატული ქართული ასომთავრული. ნუთუ ყოველივე ეს წარსულს ჩაბარდა და დავიწყებას უნდა მიეცეს?

კომპიუტერიზაცია და ელექტრონული მანქანების სამყაროს ბევრ ქვეყანაში ეწყობა კონკურსები, შეჯიბრებები კალიგრაფიაში, მართლწერასა თუ ორთოგრაფიაში. ლამაზად წერა და გაფორმება მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის საგანია. აბა, ახლა ჩვენს სინამდვილესაც გადავხედოთ, შევხედოთ აბრებს, ფირნიშებს, „რეკლამებს“, იარლიყებს, ავიღოთ ხელში წიგნი; გაზეთი, ცნობა, რეცეპტი...

ჩემის აზრით, ჩვენს ანბანს ქება-დიდებასთან ერთად დაცვა და გაფრთხილება სჭირდება. ამიტომ, მიზანშეწონილად მიმაჩნია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნას ქართული დამწერლობის, მისი შრიფტისა და გაფორმების საკითხებზე მომუშავე სპეციალური კომისია ან ჯგუფი, რათა მან გამოიმუშაოს რეკომენდაციები და სტანდარტები, დარღვევების შემთხვევაში მკაცრი ადმინისტრაციული თუ ეკონომიური სანქციები. დამწერლობის დაცვის ასეთი სისტემა ბევრ ცივილიზირებულ ქვეყანაში მოქმედებს. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური მგონია სწორედ დღეს, ასე ფართოდ გაშლილი კოოპერატიული მოძრაობის დროს.

მოდით, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ მრავალ ჭირნახულ, ხელიხელ საგოგმანო ქართულ ასოებს, და დავულოცოთ მარჯვენა მის ოსტატებს.

**მედეა თავდიშვილი,**
**ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

## გასწორება

პუბლიკაციაში — „როდის ტირიან კაცები“ — მოხსენებული ესტონელი სტუმარი ხანდერსისი არის ესტონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის საპატიო წევრი.

## მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

# ამშ

ყველა გუნდს, თუნდაც შედარებით მოკრძალებული შედეგების მქონეს, აქვს რაიმე სასიამოვნო მოსაგონარი. ასე, მაგალითად აშშ-ის ნაკრების გულშემატკივრებს არ შეიძლება დაავიწყდეთ, რომ მათი გუნდი მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის (1930 წ.) ნახევარფინალში გავიდა (მატჩი მესამე ადგილისათვის მაშინ არ ტარდებოდა), 1950 წელს კი მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონატში დიდი სენსაციის ავტორი გახდა — ანგარიშით 1:0 ერთ-ერთ ფავორიტს — ინგლისის ნაკრებს სძლია. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჩემპიონატში მონაწილეობა ამერიკელთათვის უკანასკნელი აღმოჩნდა. იმ დროიდან მოყოლებული ისინი ფინალში უკვე ველარ ხვდებოდნენ. ყველაზე უფრო ხშირად შესარჩევ ჯგუფში აშშ-ის ნაკრებს გზას ულობავდნენ მექსიკელები, თუმცა ხან სჯობდნენ ჰაიტელები (1974), სალვადორელები და ჰონდურასელები (1982), ხან — კანადელები (1986). ასე, რომ ორმოცწლიანი პაუზის (!) შემდეგ აშშ-ის გუნდი კვლავ მოხვდა მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებებს შორის, რაც თავისთავად ამ ქვეყნისათვის უკვე დიდ წარმატებად ითვლება. ამ მიღწევას სხვა მნიშვნელობაც აქვს. აშშ თვით აპირებს 1994 წლისათვის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას და ამ მომენტისათვის უნდა ძლიერი ნაკრები ჰყავდეს. ევროპული ფეხბურთი ამერიკის შეერთებულ შტატებში კარგა ხანია დაინერგა, მაგრამ სათანადო პოპულარობით არ სარგებლობს, რათა გულშემატკივართა რიცხვი გამრავლდეს, აშშ-ის ფეხბურთის ფედერაცია იწვევს გამოჩენილ ევროპელ თუ სამხრეთამერიკელ ოსტატებს. ამერიკელებმა პელეს სთხოვეს მათ ქვეყანაში ფეხბურთის პროპაგანდა აწარმოოს, პელემ კი თავის მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ერთ-ერთ წამყვან ამერიკულ კლუბს ბრაზილიელ სნაიპერ კარეკას გადაბირება ურჩია. თუკი კარეკა მართლაც აშშ-ში გადავა, კინოკომპანია „უორნერ ბროსი" (ფეხბურთის ერთ-ერთი სპონსორი) წელიწადში ორმილიონნახევარ დოლარს სთავაზობს, სამჯერ მეტს, ვიდრე იგი ახლა „ნაპოლიში" იღებს.

აშშ-ის ფეხბურთის ფედერაცია ჯერ კიდევ 1913 წელს დაარსდა, არც ენერგიული ორგანიზატორები აკლდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ახერხებს სპორტის სხვა, ამერიკაში პოპულარულ სახეებთან კონკურენციას. იმავე 1913 წელს აშშ-ის ფედერაცია ფიფა-ს წევრი გახდა, 1961 წელს კი — კონკაკაფის წევრი. ქვეყანაში 1250 კლუბია, თითქმის 900 ათასი რეგისტრირებული ფეხბურთელი, აქედან 4000 პროფესიონალად ითვლება, არც უდიდესი სტადიონები აკლია. პასადენას სტადიონზე, მაგალითად 102 ათასი მაყურებელი ეტევა.

ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი ბობ (რობერტ) განსლერი გუნდში ახალი კაცია. იგი კოლექტივს შარშან ჩაუდგა სათავეში, როდესაც უკვე დაწყებული იყო მსოფლიო პირველობის შესარჩევი თამაშები. უნდა ითქვას, რომ ამ სტადიაზე აშშ-ის ნაკრებს (ისევე, როგორც კოსტა — რიკელებსაც) ბედმა გაუღიმა — ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა საქმე, ასპარეზობაში რომ ამ რეგიონში უდავოდ უძლიერესი მექსიკელები ჩაბმულიყვნენ. 48 წლის განსლერი წარმოშობით ბუდაპეშტიდანაა, თუმცა კარგა ხანია აშშ-ში მოღვაწეობს, სათავეში ედგა მილუოკის უნივერსიტეტის გუნდს. უნდა ითქვას, რომ საწყის ეტაპზე მან ძალიან კარგად გაართვა თავი მწვრთნელის მოვალეობას. თავდაპირველად აშშ-ის ნაკრებმა იამაიკელებს სძლია (0:0, 5:1), რის შემდეგ მონაწილეობა მიიღო 5 უძლიერეს გუნდის ორწრიან შეჯიბრებაში, საიდანაც ორი გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გადიოდა. ეს ჯებირიც დაიძლია — 8 თამაშიდან 11 ქულით (4 მოგება, 3 ფრე, 1 წაგება, ბურთების სხვაობა 6-3) აშშ-ის ნაკრები მეორე ადგილზე გამოვიდა და ამრიგად იტალიის საგზური მოიპოვა.

მრავალი ფინალისტისაგან განსხვავებით აშშ-ის ნაკრები ხანდახან კი არ იყრის თავს, არამედ მუდმივად არსებობს. ზოგი ექსპერტი ამ გზას იწონებს, მაგრამ მას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. ასეა თუ ისე, განსლერის ფეხბურთელებს შეთამაშება არ აკლიათ. განსლერი აშშ-ის ფეხბურთის ისტორიაში პირველი მწვრთნელია, რომელიც რომელიმე საკლუბო გუნდთან არ არის დაკავშირებული და მთელ თავის დროს მხოლოდ ნაკრებს ახმარს. ნაკრების 16 ფეხბურთელი სტიპენდიას იღებს — წლიურად 25 ათასი დოლარიდან 40 ათასამდე. რაც შეეხება ყველაზე უფრო ცნობილ ამერიკელ ოსტატებს, ისინი საზღვარგარეთ თამაშობენ: ნახევარმცველი უგო პერესი ([illegible] სალვადორელი) — [illegible] მეორე დივიზიონის კლუბ [illegible] სტარში" (პარიზი), თავდამსხმელები პიტერ ვერმესი — ჰოლანდიის „ვოლენდამში" და [illegible] პასი — საბერძნეთის [illegible] [illegible]ნი).

აი, ის ფეხბურთელები, [illegible] ლებიც ზემოჩამოთვლილთა გარდა ემზადებიან იტალიაში გასამგზავრებლად: მეკარეები: მეოლა, ვანოლე; დაცვა — კრუმპე, ტრიტშახი; არმსტრონგი, ბალაბოა, ბანქსი, ბლისი, უინდიშმანი; შუა ხაზი — კალიგიური, რამოსი, სტოლმაიერი, დოილი, ეიკმანი, ჰარკსი, თავდამსხმელები — გულე, ვანალდა და მიურეი.

იანვრიდან მოყოლებული, განსლერმა საბრძოლო შემადგენლობის დადგენის მიზნით ბევრი საერთაშორისო მატჩი გამართა. სტენფორდში აშშ-ის გუნდმა საბჭოთა ნაკრები მიიღო და დამარცხდა 1:3. საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ აშშ-ის ნაკრები ბრიტანულ სტილში თამაშობს, ფიზიკურად კარგად არის მომზადებული, ფეხბურთელები ოსტატურად იბრძვიან ჰაერში და არავითარ შემთხვევაში „ხელისწამოსაკრავები" არ არიან.

ერთი სიტყვით, შეუპოვარი მზადება იტალიის მსოფლიო ჩემპიონატისათვის გრძელდება. განსლერი აცხადებს — ჩვენ სრულიად შეგნებული გვაქვს, რომ აუტსაიდერები ვართ, მაგრამ ბრძოლას ვაპირებთო.

**გივი გამრეკელი**

# „ქუთაისი" წინ მიიწევს

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში ძალას იკრებს. უკანაა სამი ჩატარებული ტური და სასიხარულოა აღინიშნოს, რომ შეხვედრების უმრავლესობა უკომპრომისო და დაძაბულ ბრძოლებში მიმდინარეობს. გამონაკლისი არც განვლილი ტური იყო, სადაც რამდენიმე მატჩი ფეხბურთის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევდა. ჩვენ არჩევანი ქუთაისის „ქუთაისის" და ხობის „კოლხეთის" მატჩზე შევაჩერეთ და წინდაწინ უნდა ითქვას, რომ არ შევმცდარვართ...

...ხობელთა კართან პირველი შეტევა დამთავრდა იმით, რომ ქუთაისელთა ცენტრალური ნახევარმცველის როსტომ თორღაშვილის შორი მანძილიდან დარტყმული ბურთი ხობელთა მეკარემ გიორგი ბაბუაძემ უხერხულად მოიგერია, მაგრამ მამუკა მანაგაძე ნამდვილად არ ელოდა მეტოქის ასეთ „საჩუქარს" და ასე დაიკარგა ანგარიშის გახსნის პირველი რეალური შესაძლებლობა. ალბათ, სიმბოლურიც იყო, რომ ამ ეპიზოდში ეს სამი ფეხბურთელი იღებდა მონაწილეობას, სწორედ ისინი გამოირჩეოდნენ ქუთაისის ლამაზ სტადიონზე გამართულ ამ უშეღავათო შეხვედრაში. დასამახსოვრებელი იყო I ტაიმში თორღაშვილის მიერ უზადოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმა, რომლის შედეგადაც ხობელთა კარი ზედა ძელმა იხსნა...

ერთადერთი ბურთიც I ტაიმში გავიდა, როდესაც ხობელთა მეკარემ აკრძალული ილეთით შეაჩერა თავის საჯარიმოში დავით შავდათუაშვილი და ქუთაისელთა შტატიანი პენალტისტი გრიგოლ თევზაძე არც ამჯერად შემცდარა — 1:0. I ტაიმში კიდევ ორი საგულისხმო მომენტი იყო, რამაც უფრო გაამწვავა კიდევაც თამაშის საერთო შინარსი. ჯერ შეხვედრის მთავარმა მსაჯმა გურამ სეფიაშვილმა ყვითელი ბარათი უჩვენა ხობელ ემზარ მამფორიას უხეში თამაშისათვის, შემდეგ კი ხობელთა ერთ-ერთი კონტრშეტევა გოლითაც დასრულდა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა და ანგარიშიც უცვლელი დარჩა.

...მეორე ტაიმი ხობელთა პრესინგით დაიწყო, მთელი ათი წუთის განმავლობაში ბურთი არ ტოვებდა ქუთაისელთა საჯარიმოს. გააქტიურდა ცენტრალური მცველი მერაბ კაციტაძე, რომელიც ხშირად ეხმარებოდა თავის თავდამსხმელებს. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ავღნიშნოთ, რომ რაიმე სერიოზული მომენტი ქუთაისელთა მეკარის ნიკო ჩხეიძის კართან ხობელებს არც შეუქმნიათ. ამის შემდეგ ქუთაისელები ეუფლებიან სრულ უპირატესობას და მატჩის ბოლომდე მათ მრავალრიცხოვან შეტევებს ბოლო არ უჩანდა. თუ I ტაიმში ქუთაისელები უფრო მარცხენა ფრთიდან უტევდნენ, II-ში მარჯვენა ფლანგიც აამოქმედეს, სადაც დიმიტრი პაპავას და ვასილ შენგელიას (ეს უკანასკნელი წელს დაბრუნდა სამტრედიიდან) სრული უპირატესობა ჰქონდა თავის უშუალო მეტოქეებთან. ქუთაისელთა ყველა შეტევის სულის ჩამდგმელი, კი რა თქმა უნდა როსტომ თორღაშვილი იყო. ამ ფეხბურთელის დიაპაზონი მართლაც დიდია. ეხმარებოდა მცველებს, უნარიანად დირიჟორობდა გუნდს და შორი მანძილიდანაც არაერთხელ სცადა მეტოქის კარის დალაშქვრა. ცალკე უნდა აღინიშნოს მისი გადაცემები შორ მანძილზე იშვიათი სიზუსტით, რაც ამ ბოლო დროს იშვიათია ქართულ ფეხბურთში. ალბათ, სწორედ ამაშიცაა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დანიშნულება, რომ ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი „ხელახლად" აღმოვაჩინეთ, აქამდე რომ ჩრდილში იყვნენ. ეს, ალბათ, თორღაშვილსაც ეხება, რომელმაც არც თუ ისე „ვარდ-იებით" მოფენილი გზა გაიარა: თამაში თავის მშობლიურ სოფელ ტიბაანში (სიღნაღის რაიონი) დაიწყო, საიდანაც სწავლა გლდანის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატში გააგრძელა, შემდეგ თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობა, გორის „დილა", ბათუმის „დინამო", სავალდებულო-სამხედრო სამსახური, კვლავ ბათუმის „დინამო" და შარშანდელი სეზონიდან კი ქუთაისელთა ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. როსტომი ახლა 25 წლისაა და იმედია, რომ ჩვენი ეს ობიექტური (დამერწმუნეთ!) შეფასება მას უფრო მეტ სტიმულს მისცემს.

...ხოლო იმის გადმოცემა, თუ რა ხდებოდა მოედანზე ბოლო ათი წუთის განმავლობაში, ეს ცოტა ძნელი საქმეა. სტადიონს თავს უზარმაზარი შავი ღრუბელი წამოადგა და რაღაც გრიგალისმომასწავლებელი ატმოსფეროც შეიქმნა. ეს ყველაფერი მაყურებელს შეეტყო და ახმაურდა გულშემატკივარი, თუმცა ჩვენ ეს ამინდის ბრალი გვეგონა, საქმე კი სულ სხვა რამეში იყო. ალბათ, ვერ შევუდგებით იმ საგოლე მომენტების ჩამოთვლას, რომელიც ხობელთა კართან ხდებოდა მატჩის მიწურულს. მანაგაძე, პაპავა, ნადირაძე, შავდათუაშვილი — აი, არასრული სია იმ ფეხბურთელებისა, რომელთაც გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ამ წუთებში ხობელთა მეკარე, 23 წლის გიორგი ბაბუაძე პირდაპირ სასწაულებს ახდენდა. მიუხედავად ქუთაისელთა მცდელობისა, ანგარიში არ შეცვლილა და მინიმალური სხვაობა რეალურად არ ასახავს ძალთა თანაფარდობას მოედანზე. მთლიანად, მატჩი სანახაობრივად მიმზიდველი იყო და ორივე მეტოქეს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორი ტაიმის განმავლობაში ძალზედ მაღალ ტემპში ჩაატარეს შეხვედრა. ცალკე უნდა აღინიშნოს მსაჯობა, რომელმაც ამ რთულ და ნერვულ შეხვედრაში კარგად გაართვა თავი ამ მოვალეობას, თუმცა ორივე გუნდის მოთამაშეები ოდნავ მეტად ემოციურად გამოხატავდნენ თავიანთ შეხედულებებს მსაჯის მიერ მიღებულ ამა თუ იმ გადაწყვეტილების გამო. მატჩის შემდეგ კი ვთხოვეთ ქუთაისელთა მთავარ მწვრთნელს რევაზ ბურკაძეს თავისი აზრი გამოეხატა მიმდინარე ჩემპიონატზე და თავის გუნდზე.

— „მე ვფიქრობ, რომ დიდი საქმე გაკეთდა. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, ეჭვიც არ მეპარება, რომ ახალ ტალანტებს წარმოაჩენს და, რა თქმა უნდა, ამაღლდება ფეხბურთის დონე. სამი ტური გავიდა და უნდა ითქვას, რომ სამივე ჩვენმა მეტოქემ ძალიან მიზანდასახული და საინტერესო ფეხბურთი აჩვენეს, რაც მათი მწვრთნელთა დამსახურებაა. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, ის ჯერჯერობით მხოლოდ 50 პროცენტიან ზღვარზე თამაშობს. თითქმის ყოველ მატჩში დიდი უპირატესობა გვაქვს, მაგრამ ძალიან ბევრი გამოუყენებელი მომენტი გვრჩება. გვჯერა, რომ გუნდი უფრო მოუმატებს თამაშს, მწყობრში ჩადგებიან დიმიტრი მეშკოვი, თემურ ფაიქიძე, დისკვალიფიკაციის ვადა გაუვა გიორგი დარასელიას და ვფიქრობთ, რომ საპრიზო სამეულში უნდა მოვხვდეთ".

ჩვენც გვჯერა ქუთაისელთა ახალგაზრდა მწვრთნელის ამ სიტყვების და ვუსურვებთ მომავალშიც ასე გააგრძელებინოს „ქუთაისს", რომელიც ამჟამად სამი თამაშიდან 9 ქულით ლიდერთა შორის იმყოფება.

დასასრულს კი გაგაცნობთ გუნდების შემადგენლობას: „ქუთაისი": ჩხეიძე, პაპავა, თორღაშვილი, ბზიკაძე, გრ. თევზაძე, ნადირაძე, პაიკიძე (დვალიშვილი, 64 წთ.), სუხიაშვილი (გაბესკირია, 46 წთ), შენგელია, შავდათუაშვილი (შავგულიძე, 88 წთ), მანაგაძე.

„კოლხეთი" ხობი: ბაბუაძე, ჯეჯელავა, კაციტაძე, მ. ხურცილავა, ლატარია, მამფორია, ფარფალია (ბაკურაძე, 46 წთ), სიჭინავა (ჭიჭინაძე, 46 წთ.), კალუჟა, ე. თევზაძე, ქვილითაია.

**გია ტუხაშვილი,**
**ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.**

**III ტურის სხვა შეხვედრების ანგარიშები:**

**„ცხუმი" — „სამგურალი" 1:1;**
**„ოზურგეთი" — „შევარდენი 2:0;**
**„სანავარდო" — ოდიში" 1:1;**
**„იბერია" — „დილა" 5:0;**
**„ივერია" — „კოლხეთი" ფოთი 0:2;**
**„მზიური" — „გორდა" 2:4;**
**„ბათუმი" — „ლიახვი" 3:0;**
**„გურია" — ამირანი" 2:0.**

**საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის**

# განცხადება

**ითვალისწინებს რა ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას, იმას, რომ მართალია საფეხბურთო გუნდებმა ოფიციალურად გაწყვიტეს კავშირი იმპერიულ სპორტთან, მაგრამ საქართველოში ჯერ კიდევ რეალურად არსებობს მარიონეტული საბჭოთა ხელისუფლება და მისი ტოტალიტარული სტრუქტურები — საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თბილის-მცხეთის რეგიონალური კომიტეტი მხარდაჭერასა და თანადგომას უცხადებს თბილისის „იბერიის" ფეხბურთელთა გუნდს, მის სპორტულ ცხოვრებაში ჩაურევლად და მოუწოდებს ქართველ ერს, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე მხარში ამოუდგეს და დახმარება გაუწიოს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე საფეხბურთო კლუბებს.**

**ირაკლი წერეთელი.**
**თორნიკე ფიფია.**

# „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქტორს

უკვე, ალბათ, ყველა ქართველი დარწმუნდა იმაში, რომ ოპოზიციურ აზროვნებას და საერთოდ, ჯანსაღ ოპოზიციას, დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია.

ამას წინათ სოხუმს გახლდით და საკუთარი თვალით ვიხილე რექტორის შიმშილობის დასაწყისი. დაბრუნებისთანავე, მატარებელში გაკეთებული ჩანაწერი, ხელნაწერის სახით, ვაახლე გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქტორს ბატონ მერაბ ბალარჯიშვილს, რომელმაც იგი ოპერატიულად დასტამბა. წერილი, ცხადია, გაცხარებული კაცის მიერ იყო დაწერილი და მასში რამდენიმე არაკორექტული მომენტიც გაიპარა, მაგრამ მისი დაბეჭდვის დღეს, 5 აპრილს, წერილის ადრესატს, საქართველოს ხელისუფლებას, რექტორის შიმშილობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა გადაჭრილი ჰქონდა. ჩემი წერილის არაკორექტულმა ტონმა, ბუნებრივია, აზრი დაკარგა. იმავდროულად, აზრი დაკარგა წერილში დაფიქსირებულმა, საქართველოს ხელისუფლების „მეთოდოლოგიური შეშფოთების" მცდელობამაც.

ვაღიარებ ჩემს არაკორექტულ გამოსვლას და საქართველოს ხელისუფლებას მომავალშიც ამგვარ ოპერატიულობას ვუსურვებ ჩვენი საერთო პრობლემების გადაწყვეტაში.

**გერმანე ფაცაცია**

## ინფორმაცია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მიღებული იქნა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებისა და საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების წინადადებანი, აღნიშნულ საზოგადოებებთან გამომცემლობა „კიდევაც დაიზრდებიან" შექმნის შესახებ.

●

საქართველოს დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრაში თავიანთი წვლილი შეიტანეს თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელმა ქარხანამ და მაღაზია — ფირმა „ბავშვთა სამყარომ". პირველმა 10000 მანეთი გადარიცხა მის ფონდში, ხოლო მეორემ 1200 მანეთი.

მადლობა მათ მამულიშვილური საქმისათვის.

**საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პროპაგანდის კომიტეტი.**

**რედაქტორი**
**მერაბ ბალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-98, კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8. 9 10 11 12 13 Наш индекс 66400.
უე 00232